# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 28 თებერვალი. 2022 წ. №31 (9369) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიცოცხლეა, ტყვიებით და ჯიბეებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

## დიდება უკრაინას!

**ჩვენი, დღეს უკვე 103 წლის გაზეთი,** მთელი ამ ერთი საუკუნის მანძილზე ათასი რამ უბედურების მომსწრე გამხდარა. კერძოდ, რუსული ოკუპაციის, მეორე მსოფლიო ომის, რომელმაც სასიკვდილო სისხლიანი ფრთა გაჭკრა საქართველოსაც, მერე აქეთ 9 აპრილი, სოხუმის დაცემა, 2008 წლის 8 აგვისტო, როცა წინა ხელისუფლების უგუნურების გამო პუტინის რუსეთმა თითქმის გაგვინახევრა ძირძველი ქართული მიწა-წყალი...

და ახლა სხვათა ქვეყნის მიტაცებისთვის გაგიჟებულმა პუტინმა სისხლითა და ხორცით მონათესავე უკრაინაც არ დაინდო და სისხლიანი კალო დაატრიალა დამოუკიდებელ უკრაინაში, რომელიც უსინდისოდ და უსირცხვილოდ ჩვენს ბედში მოაქცია.

„საქართველოს რესპუბლიკა“ თავის მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად მოძმე უკრაინის გვერდით დადგა ჯერ კიდევ პირველი ჭურვის გავარდნამდე. ჩვენი გაზეთი, მტკიცე მხადაჭერის ნიშნად, ყოველდღე დაწვრილებით აშუქებს თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის ბრძოლას რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ და დარწმუნებულია, რომ გაჰიტლერებულ პუტინს, აღშფოთებული მსოფლიო საზოგადოებრიობის ყოვლისშემმუსვრელი რისხვა ბოლოს მოუღებს.

ჩვენი რედაქცია ამჟამად ომის რეჟიმით მუშაობს.

სიცოცხლე და გამძლეობა მოძმე უკრაინელ ხალხს!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, უერთდება რა მსოფლიოს მოწინავე და პროგრესული საზოგადოების პროტესტს, სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს და გმობს რუსეთის სამხედრო აგრესიას მის წინააღმდეგ.

ქართველ მეცნიერებს, ისევე როგორც საქართველოს მთელ მოსახლეობას, ყველაზე კარგად ესმის უკრაინელი ხალხის მდგომარეობა, გულწრფელად თანავუგრძნობთ უკრაინელ მეცნიერებს, მთელ მოსახლეობას, რომელიც ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად უთანასწორო ბრძოლაშია ჩაბმული.

აკადემია მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, მიიღოს ყველა ზომა ომის შესაჩერებლად, პროცესების დიპლომატიური გზებით მოსაგვარებლად, რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

## მავნებლებს არ დაუჯეროთ!

**როგორც** კი რუსეთი ვერაგულად თავს დაესხა უკრაინას, ნაციონალებმა ეგრევე ისარგებლეს რუსეთის ამ აგრესიით და პროვოკაციულ-დემაგოგიური ომი გამოუცხადეს „ქართულ ოცნებას“, რომელიც თითქოს აშკარად არ გამოხატავს უკრაინისადმი თავის მხარდაჭერას და რუსეთის არგალიზიანების პოლიტიკას განაგრძობს, რაც ყველა საღად მოაზროვნე ქართველისთვის აშკარა აბსურდია!

განსაკუთრებით უტიფრად პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს მისდგნენ და გამიზნულად, მავნებლურად გაიძახიან, უკრაინას კი არა, რუსეთს მხარს რომ უჭერს, იქიდანაც ჩანს, სანქციებს რომ არ უწესებსო, რაც ასევე წმინდა წყლის პოლიტიკური დემაგოგიაა. არადა, დღესავით ნათელია პრემიერ-მინისტრის მტკიცე ეროვნული პოზიცია. „ქართული ოცნებისა“ და ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკა ქართველი ხალხისთვის ჰაერივით საჭირო შორსგამიზნული, ქვეყნის გადამრჩენელი პოლიტიკაა!

იხ. 2 გვ.

4

## ვინ გვატყუებს, რუსეთი არასდროს დამარცხებულაო?!

## ძირს მაპროვოცირებელი ისტერია! 3

### რა უნდა პუტინს და რა ელის უკრაინას?!

## მესანგრე ვიტალი სკაკუნი უკრაინის გმირია!

**უკრაინელ** მესანგრეს ვიტალი სკაკუნს, რომელმაც ქალაქ ჰენიჩესკში საკუთარი სიცოცხლის ფასად ხიდი ააფეთქა და რუსული საოკუპაციო ჯარის გადაადგილება შეაჩერა, პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის **გმირის წოდება მიანიჭა,** — ამის შესახებ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში განაცხადა.

25 თებერვალის დილას, კიევში რუსული ტანკების კოლონის შესვლის შესაკავებლად, სამხედროებმა საავტომობილო ხიდის აფეთქება გადაწყვიტეს. ვიტალი სკაკუნმა მოხალისეობა გადაწყვიტა. მან თანამებრძოლებს შეატყობინა, რომ ხიდს დაუყოვნებლივ ააფეთქებდა და რამდენიმე წამის შემდეგ აფეთქების ხმაც გაისმა.

## 120 000-ზე მეტი უკრაინელი ლტოლვილად იქცა

**გაეროს** ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის განცხადებით, რუსეთის თავდასხმის შემდეგ, 120 000-ზე მეტმა უკრაინელმა ლტოლვილმა დატოვა ქვეყანა. ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მოადგილემ კელი კლემენტსმა შაბათს დილით CNN-თან ინტერვიუში თქვა, რომ სიტუაცია სავარაუდოდ გაუარესდება. მისივე განცხადებით, უმეტესობა უკრაინელებისა პოლონეთსა და მოლდოვაში მიდის, მაგრამ ზოგიერთი ასევე მიემართება რუმინეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში. პოლონეთმა განაცხადა, რომ 35 000-ზე მეტი ლტოლვილი მიიღო უკრაინიდან. მოლდოვა 25 000 უკრაინელის მიღების შესახებ იუწყება.

### დღის ანეკდოტიდან



— ღმერთმა ნუმც ქნას, პრეზიდენტო პუტინო, უკრაინა შენ რომ გაგაპუტინონ!..

## ირაკლი ღარიბაშვილი ეროვნულ ინტერესებს, ეროვნულ მიზნებს უფრთხილდება

**საქართველო დასავლეთის მიერ რუსეთისთვის უკრაინაზე სამხედრო აგრესიის განხორციელების გამო დაწესებულ სანქციებს არ შეუერთდება,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა და განმარტა, რომ სხვა გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს დააზარალებს.

**„არაფერს გავაკეთებ, არც ერთ გადაწყვეტილებას არ მივიღებ ისეთს, რომელიც რაიმე ფორმით დააზიანებს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. შესაბამისად, გავეცანით ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ქმედებებს, რომელიც მოჰყვა უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებას, ვგულისხმობ ეკონომიკურ და ფინანსურ სანქციებს და მინდა, მკაფიოდ, ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო, რომ საქართველო, ჩვენი ეროვნული, ხალხის ინტერესების გათვალისწინებით არ აპირებს, მონაწილეობა მიიღოს ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებში, ვინაიდან, აღნიშნული მხოლოდ დაზიანებს, გაცილებით უფრო მეტად ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მოსახლეობას. მე, როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებელი, ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობით ვიხელმძღვანელებ“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა. მისი თქმით, კეთდება ყველაფერი, რომ საქართველომ პოლიტიკური და ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინოს უკრაინელ ხალხს და უკრაინას.

**„ის, რაც უკრაინაში ხდება, დიდი ტრაგედიაა. ამ ომით, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ იქნა შეკავებული და ვერ იქნა თავიდან აცილებული, ყველაზე მეტად დაზარალდება თავად უკრაინა, როგორც სახელმწიფო, მისი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და უკრაინელი ხალხი, უკრაინელი ჯარისკაცები. ომს არანაირი გამართლება არ აქვს. ჩვენ ეს ყველაფერი ჩვენ თავზე გამოვცადეთ 2008 წელს, როდესაც სამწუხაროდ, საუბედუროდ, თავიდან ვერ იქნა აცილებული 2008 წლის ტრაგიკული მოვლენები. რამაც ძალიან მძიმე შედეგები მოუტანა ჩვენს ქვეყანას და ვინ დაზარალდა? რა თქმა უნდა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი. დაიხოცნენ ჩვენი ჯარისკაცები, დავკარგეთ ჩვენი ტერიტორიები. რუსეთმა მოახდინა ჩვენი ძირძველი ტერიტორიების ოკუპაცია და შემდეგ აღიარება. შესაბამისად, ომი ყველასთვის მიუღებელია. არც ერთ მხარეს არ ჰყავს გამარჯვებული. ზიანი ორივე მხარეს მიადგება. კიდევ ერთხელ მინდა, მოვუწოდო საერთაშორისო თანამეგობრობას, ყველაფერი გააკეთონ, რომ უკრაინაში ეს საომარი მოქმედებები შეჩერდეს“.**

რაც შეეხება უკრაინისადმი მხარდაჭერას, ღარიბაშვილის თქმით, პროცესი შესაძლებლობების ფარგლებში გრძელდება. ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს საფრთხე არ ემუქრება და ამას პრაგმატული პოლიტიკით ხსნის.

## კახა კალაძე: უკრაინის ტკივილი საქართველოს ტკივილია!

თბილისის მერი კახა კალაძე უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება. კახა კალაძე უკრაინელ მეგობრებს გამძლეობას და გამარჯვებას უსურვებს.

**„უკრაინის ტკივილი საქართველოს ტკივილია. გამძლეობა და გამარჯვება, ჩემო უკრაინელო მეგობრებო“,** — წერს თბილისის მერი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“.

## შარლ მიშელმა სალომე ზურაბიშვილი ბრიუსელში მიიწვია

**საქართველოს პრეზიდენტსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს შორის სატელეფონო საუბარი შედგა,** — ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესამსახური ავრცელებს.

მათვე ცნობით, საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს.

**„პრეზიდენტმა მიშელმა, საქართველოს პრეზიდენტი უახლოეს დღეებში სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში მიიწვია“,** — იტყობინება პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. დღესვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოსა და საფრანგეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. პრეზიდენტმა მაკრონმა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი უახლოეს დღეებში სამუშაო ვიზიტით პარიზში მიიწვია.

## „დავითიანნი“ და ჩოხოსნები უკრაინას ეხმარებიან

27 თებერვლიდან, თბილისის ყველა მოქმედ ტაძარში, წინმაძღვრებთან შეთანხმებით, დაიწყება პროდუქტისა და პირველადი დახმარების მედიკამენტების შეგროვება უკრაინის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით:

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის“ ინიციატივითა და ორგანიზებით დაიწყო არაფუჭებადი პროდუქტისა (ბურღულეული, ზეთი, ფქვილი წყალი ა.შ.) და პირველადი დახმარების მედიკამენტების შეგროვება უკრაინის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით. ეპარქიებში კი გზავნილის მიტანის ადგილს ადგილობრივი მღვდელმთავარი განსაზღვრავს. მხარდამჭერი „ჩოხოსანთა საზოგადოება“. გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა ამ ღვთისსათნო საქმეში.

## მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონი ლარი გამოიყო

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონი ლარი გამოიყოფა.**

მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, დაზარალებული მოსახლეობისათვის ფარმაცევტულ პროდუქტებსა და სამედიცინო დანიშნულების საგნებს შეისყიდის.

## იგორ დოლგოვი: აგრესორი ვერ დააჩოქებს უკრაინას

**რუსეთის ჯარებმა დარტყმა განახორციელა იმ საცხოვრებელი სახლების მიმართულებით, სადაც ცხოვრობს სამშვიდობო მოსახლეობა, იქ არ არის სამხედრო ობიექტები ან რამე სამთავრობო დაწესებულებები, იქ არის მხოლოდ ბაღები, სკოლები და სხვა სახლები,** — ამის შესახებ საქართველოში უკრაინის ელჩმა იგორ დოლგოვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**„დღეს ომის მეოთხე დღეა, რაც უკრაინის არმია იცავს უკრაინას და იცავს მთელ მსოფლიოს. ეს დღე უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ დაიწყო მიმართვით უკრაინელებისადმი მთელი მსოფლიოსადმი. ის მიმართავდა ყველას პრეზიდენტის ოფისიდან. მისი პირველი სიგნალი იყო, რომ არავის არ დაუჯეროს, არავის არ მივმართავდი, დაყარეთ იარაღი, ჩვენი ჯარი იცავს ჩვენს უკრაინას და ჩვენ დავიცავთ მას. ეს არის ჩვენი მიწა, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ბავშვები და ამ ყველაფერს ჩვენ დავიცავთ. ვითარება ძალიან რთულია, ეს ვითარება არამხოლოდ მოითხოვს დახმარებას, უკრაინის შეიარაღებული ძალებისადმი, ასევე დახმარებას მთელი ქვეყნისთვის. შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა, რომ გამოეყოთ 600 მილიონი დოლარი დამატებითი სახსრები უკრაინის დასახმარებლად. გუშინ ევროკავშირის საბჭომ მილო გადაწყვეტილება რუსეთის, ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების პაკეტის შემოღებაზე.**

**„აგრესორის მცდელობაა, რომ გადმოსხას საჰაერო დესანტი კიევის მეორე სანაპიროზე, რომელიც ყოფს ორ ნაწილად ქალაქ კიევს. ქალაქ კიევის მერმა მიმართა კიევის მოსახლეობას და შეატყობინა დანაკარგების შესახებ. ჩვენ გყვავს 35 დაჭრილი, მათ შორის ორი ბავშვი. მინდა შეგახსენოთ, რომ უკრაინა არის ტერიტორიით ყველაზე მსხვილი სახელმწიფო ევროპაში და ჩვენ გყვავს 40 მილიონი მოსახლე. მინდა შეგახსენოთ, რომ დამნაშავე პუტინმა გამოაცხადა სპეციალური ოპერაციის დაწყების შესახებ, რომელიც უკავშირდება არაღიარებული ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკებში მდგომარეობას. ასევე დაიწყო საომარი მოქმედებები, ომი ყველა შესაძლო მიმართულებიდან, სადაც იყო ფოკუსირებული რუსის ჯარი“,** — აღნიშნა ელჩმა.

# რა ზიანი შეიძლება მიადგეს რუსეთს ანონიმუსისგან?

**უკვე მეოთხე დღეა, რაც რუსეთსა და უკრაინას შორის ომი მიმდინარეობს. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერ იბომბება ქალაქები, შეტევები ხორციელდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, საფრთხის ქვეშაა მშვიდობიანი მოსახლეობაც. ბრძოლაში ჩართულია, როგორც ჯარი, ასევე, სამხედრო ტექნიკა.**

უკრაინა ომში ფიზიკურად მარტოა და მთელი ძალით ცდილობს თავდაცვას. ცივილიზებული მსოფლიო აგრესორს დანესებული სანქციებით უპირისპირდება, თუმცა ის ამას არ უშინდება და სისხლისღვრას აგრძელებს. შეიძლება, ერთი შეხედვით, გვეგონოს, რომ ბრძოლა მხოლოდ იქაა, სადაც ჭურვების აფეთქების ხმა ისმის, მაგრამ ეს ასე არაა. ფრონტის ხაზი ციფრულ სამყაროზეც გადის, სადაც დეზინფორმაცია მტრის ხელში არსებული ერთ-ერთი ყველაზე საშიში იარაღია, რომელსაც ის აქტიურად იყენებს.

**ამის მიუხედავად, რუსეთის ქმედებები უპასუხოდ არ რჩება. მას ახლახან საერთაშორისო ჰაკერულმა დაჯგუფება ანონიმუსმა კიბერომი გამოუცხადა. მათ რამდენიმე სამთავრობო ვებგვერდი და პროპაგანდისტული მედია, მათ შორის Russia Today უკვე დაბლოკეს. გათიშეს ბუნებრივი აირის მწარმოებელი კომპანია გაზპრომის ვებგვერდიც, რასაც წინ უძღოდა ტვიტი: „ჰეი, გაზპრომ, გინდა, ვითამაშოთ?“. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.**

### რა არის ჰაკერული ომი?

**თანამედროვე მსოფლიოში ციფრული ტექნოლოგია ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი დოზითაა შემოჭრილი.** ჩვენი პირადი ინფორმაციისა და სახელმწიფო მნიშვნელობის მო-

# ძირს მაპროვოცირებელი ისტერია!

## რა უნდა პუტინს და რა ელის უკრაინას?!

**„რუსეთს სხვა გზა არ დაუტოვეს“ — ბრძანა ანალიტიკოსმა დემურ გიორხელიძემ ჩემს საავტორო გადაცემაში: „პოლიტიკური თერმომეტრი“ ტელეკომპანია „ქართულ ტვ“-ზე.**

**ანალიტიკოსმა, სათანადო არგუმენტებით გაამყარა საკუთარი დასკვნა და იმ მძიმე მომავალზეც გაამახვილა ყურადღება, რისი მომსწრენიც შეიძლება გავხდეთ უახლოეს მომავალში.**

**გიორხელიძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ, სამწუხაროდ, უკრაინა ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა — ზელენსკი დაარწმუნეს: საერთაშორისო თანამეგობრობა (იგულისხმება ევრო-ამერიკა) არა მარტო თანამედროვე იარაღით დაეხმარებოდა რუსეთის აგრესიის შემთხვევაში, არამედ...**

არადა, ომის პირველმა დღემაც დაადასტურა, რომ ზელენსკი გააცურეს და უკრაინელი ხალხი საზარბაზნე ხორცად მიუგდეს გავეშებულ რუსეთს, რომელიც საკუთარ სამეზობლოში ცოცხალი თავით არ დაუშვებს ნატოს გაფართოების პერსპექტივას!

თავად ზელენსკიმაც აღიარა, რომ მოტყუებული დარჩა და ახლა მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს! აბა მოვუსმინოთ: **„ვართ საკუთარი თავის იმედად, მარტო დავრჩით. ჩვენთვის ბრძოლა არავის უნდა!“**

ყველა საკუთარი თავის იმედზე რომ უნდა ვიყოთ, ეს 2008 წლის აგვისტომაც დაადასტურა. რაც შეეხება სხვის იმედზე ყოფნას, ეს მხოლოდ მაშინაა მოსალოდნელი, როცა ინტერესები საერთოა და ამ მხარდაჭერით მიღებული შედეგებიც მისაღებია მეორე (მხარდამჭერი) სუბიექტისთვისაც.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემთხვევაში, სხვის იმედზე ყოფნა, ნიშნავდა და ნიშნავს, მესამე მსოფლიო ომის პროვოცირებას, რომელიც არც ერთ მხარეს არ უნდა აწყობდეს!

ის, რომ ამერიკა და ნატოს დანარჩენი სახელმწიფოები უკრაინის გამო ასეთ ავანტიურაში რომ არ ჩაებმებოდნენ, ღრმად პატივცემულ ზელენსკის უნდა სცოდნოდა. იქნებ, იცოდა კიდეც და მაინც აიძულეს?!

არასდროს ვყოფილვარ და არც მომავალში ვაპირებ ვიყო რუსეთუმე — კარგად ვიცი რუსეთ-საქართველოს თითქმის ორსაუკუნენახევრიანი ურთიერთობის პერიპეტიები. ამდენად, შეუძლებელია რუსეთი მიყვარდეს, მაგრამ, რაც არ უნდა მძულდეს, რაც არ უნდა სამართლიანი პრეტენზიები მქონდეს მასთან, როგორც „დერჟავასთან“ (ხალხს რას ვერჩი!), ობიექტურობის განცდა არასდროს მღალატობს — ერთი რამ დაბეჯითებით ვიცი: რუსეთი ჩვენი ისტორიული ბედისწერაა და რაც მეტს გავაღიზიანებთ, მით უფრო დავისჯებით! თუმცა, ეს არ ნიშნავს, ხელების აწევით შევხვდეთ რუსეთის აგრესიას...

სამხედრო აგრესია ნებისმიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ გაუმართლებელია. გაუმართლებელია იგი უკრაინასთან მიმართებაშიც, რა ქვეცნობიერი მიზეზებიც არ უნდა იდგეს ამ აგრესიის მიღმა.

რა თქმა უნდა, უკრაინის დღევანდელმა მდგომარეობამ გული უნდა აგვიფორიაქოს და თანაგრძნობის სურვილიც უნდა აღგვიძრას, მაგრამ, ამის იქით რა შეგვიძლია? ჩავიდეთ უკრაინაში, ავიღოთ ხელში იარაღი და ვებრძოლოთ რუსეთს?

ასეც რომ მოვიქცეთ, რა შედეგს მივიღებთ — რუსეთს დავაჩოქებთ და საკუთარი მიწა-წყლის პრობლემებსაც ადვილად მოვაგვარებთ?!

**მეტი არაა ჩემი მტერი — არც ეს გამოგვივა და არა მარტო საომარ მოქმედებებში უკრაინის მხარდაჭერით, არამედ, ზედმეტი ხმაურითაც კი რუსეთს კიდევ უფრო გავალიზიანებთ და უკრაინის შემდეგ ჯავრს ჩვენზეც იყრის. ვისი იმედი უნდა გვქონდეს: ცალკე აღებული ამერიკის თუ ე.წ. დასავლეთის? ან, ნატოში დაჩძარებული წესით მიღება იქნება გამოსავალი?**

ჯერ ერთი, არ მიგვიღებენ, მეორეც, რას ვუშვრებით ოკუპირებულ ტერიტორიებს — ნატოში მიღების შემთხვევაში (თუმცა, არ მჯერა ასეთი ილუზიის) სამუდამოდ ხომ უნდა გამოვეთხოვოთ?!

აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნების“ არსებობის მანძილზე ძალიან დაბალანსებული და სახელმწიფოებრივად სწორი მიდგომა მეჩვენა მოქმედი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები — ეს არის მთავრობის მეთაურის დინჯი, გაწონასწორებული გზავნილები, არსებული ვითარების და შიდა რესურსების ობიექტური შეფასება.

ვეთანხმები პრემიერს, რომ ამ სახიფათო თამაშში ნებისმიერი ფორმით ჩართვა საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ისედაც დასუსტებულ-დანაწევრებული საქართველოსთვის, ამის მწარე მაგალითი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმაც დაგვანახა!

ისტერიას და გაუაზრებელ გამოხტომებს, არასდროს მოუტანია ხეირი არცერთი სახელმწიფოსთვის და ბუნებრივია, არც ჩვენ მოგვიტანს.

აგრესია უნდა დავგმოთ, მაგრამ, უფრო გამართლებული იქნება, დიპლომატიური ენით გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება და შედარებით ნეიტრალური დავიჭიროთ.

რაც შეეხება პროვოკატორებს, რომლებიც რუსეთისთვის სანქციების დაწესებას ითხოვენ (სასაცილოა), თავიანთი ადგილი უნდა მივუჩინოთ და საკადრისად ვამხილოთ!

ძირს მაპროვოცირებელი ისტერია!

კითხვაზე, როგორ დამთავრდება რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტი, ზუსტი პროგნოზირება ძნელია, თუმცა, სამდღიანი საომარი მოქმედებები ცხადყოფს, რომ რუსეთის აგრესიულ შემოტევებს უკრაინა ვერ გაუძლებს, რასაც ხელისუფლების ცვლაც მოჰყვება...

ერთი რამ ცხადია: საომარი მოქმედებები რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდეს, რომ ამ ხელოვნურად აგორებულ ომს ნაკლები ადამიანის სიცოცხლე შეეწიროს!

**ზაურ ნაჭყებია**

---

ნაცემების უმეტესობა კომპიუტერებში ინახება. ამის გარდა, მსგავს სისტემებშია თავმოყრილი ბანკების, ტრანსპორტის, სატელიტების, საკომუნიკაციო არხებისა თუ მედიის მართვის სადაგეები. შესაბამისად, მათი სამიზნეში ამოღებით სხვადასხვა ქვეყნისთვის სერიოზული ზიანის მიყენებაა შესაძლებელი.

**ეს გახლავთ ჰაკერული ომი, რომელშიც ძალაუფლება კიბერთავდამსხმელებს ეკუთვნით. მათ საშუალება აქვთ, სპეციალური მეთოდების მეშვეობით, კომპიუტერულ სისტემებს შეუტტიონ, იქ არსებული პროგრამები დააზიანონ და მოწყობილობების ფუნქციონირების ხარვეზები გამოიწვიონ. ასევე, მიუწვდომელი გახადონ ესა თუ ის ინტერნეტ რესურსი, რასაც Denial-of-service attack ეწოდება და საკმაოდ ხშირად გამოიყენება, რათა მოიპოვონ საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა, გათიშონ კავშირგაბმულობა და ა.შ.**

სწორედ ასეთ ბრძოლაში ჩაერთო ანონიმუსი რუსეთის წინააღმდეგ.

### ციფრული ომი - ანონიმუსი

**ჰაკერული დეცენტრალიზებული დაჯგუფება ანონიმუსი პირველად 2003 წელს, ინტერნეტფორუმ 4chan-ზე გამოჩნდა და იქიდან მოყოლებული, საზოგადოებას თავი არაერთი კიბერთავდასხმით დაამახსოვრა (სრული ჩამონათვალი). მათი სამიზნე სხვადასხვა სახელმწიფოს სამთავრობო სააგენტო, ორგანიზაცია და კომპანია გახდა, როგორიცაა PayPal, MasterCard, Visa If Sony.**

ანონიმუსს ლიდერები არ ჰყავს, იქ ყველა თანაბარუფლებიანია. მათ ანონიმებად მოიხსენიებენ. ისინი ხშირად უპირისპირდებიან ცენზურას და ზოგჯერ პოლიტიკურ, სოციალურ აქტივისტებადაც გვევლინებიან. გავრცელებულ ვიდეოებში დაჯგუფების წარმომადგენლებს სახე ცნობილი მხატვრული ფილმის V for Vendetta პერსონაჟის, გაი ფოქსის ნიღბით აქვთ დაფარული, ხმა კი კომპიუტერული პროგრამებით შეცვლილი ან ხელოვნურად გენერირებულია, რათა მათი ამოცნობა ვერ მოხერხდეს.

უკრაინაში რუსეთის საომარი მოქმედებების მიმართ ანონიმუსის დამოკიდებულება ცხადია — ისინი უკრაინას უჭერენ მხარს, რასაც თუნდაც განცხადებებით საკმაოდ ნათლად გამოხატავენ.

**„ანონიმუსი ამჟამად რუსეთის ფედერაციის საწინააღმდეგო ოპერაციებშია ჩართული. ჩვენი ნაბიჯები ქვეყნის ხელისუფლებისკენაა მიმართული. გარდაუვალია, რომ ეს ყველაფერი კერძო სექტორზეც იქონიებს გავლენას“,** — ნათქვამია მათ მიერ ტვიტერზე გამოქვეყნებულ პოსტში.

**„საკუთარი თავი უკრაინის ადგილას დააყენეთ, რომელიც ამ წუთებში იბომბება. ერთობლივი ძალით ჩვენ მსოფლიოს შეცვლას შევძლებთ და ნებისმიერ უსამართლობას წინ აღვუდგებით. დროა, რომ რუსი ხალხი გაერთიანდეს და ვლადიმერ პუტინის მიერ წამოწყებულ ომს უთხრას „არა“! ჩვენ ვართ ანონიმუსი. ჩვენ ვართ ლეგიონი“,** — ამბობენ ისინი.

ზემოთ ჩასმულ ვიდეოში ანონიმუსი პუტინს ეუბნება, რომ შედეგებისთვის მზად იყოს, რადგან მათ ნამდვილ ძალას იწვნევს. **„ომი მკვლელობაა“,** — აცხადებს ანონიმი, რომლის თქმითაც, ისინი ხალხის გვერდით დგანან და არა მთავრობების, რომელთაც მხოლოდ პირადი ინტერესების დაკმაყოფილება სურთ. დაჯგუფება უკრაინას მოუწოდებს, რომ გამაგრდეს.

### რა საფრთხის წინაშე დგას რუსეთი?

**მაშ, რა ემუქრება რუსეთს, თუ ანონიმუსი საკუთარ ძალას ბოლომდე გამოავლენს? პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სრულიად შესაძლებელია, ამ კიბერომში დამხმარე „ჯარისკაცებიც“ გამოჩნდნენ.**

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ჯო ბაიდენს, სადაზვერვო და სამხედრო „კიბერმებრძოლები“ რუსეთზე ჰაკერული თავდასხმების განხორციელების გეგმას სთავაზობენ. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს საკმაოდ ძლიერი ჰაკერული რესურსი გააჩნია, თუმცა, თუ ის თავის შეკავებას გადაწყვეტს, იგივე ნაბიჯებს, სავარაუდოდ, ანონიმუსიც თავისუფლად გადადგამს.

**ამჯერად ყველაფერი უბრალოდ ვებგვერდების დაბლოკვით არ შემოიფარგლება, არამედ საუბარია ფართომასშტაბიან შეტევაზე. მაგალითად, ასეთია, რუსეთში ელექტროენერგიის გათიშვა, ინტერნეტკავშირის შეწყვეტა და მატარებლების გადაადგილების შეზღუდვა, რაც არმიის მომარაგებას შეაფერხებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ელემენტარული კომუნიკაციის პრობლემა შეიქმნება, რაც კრემლის ჩიხში მოქცევის გარდა, ხელისუფლებისადმი ადამიანთა უკმაყოფილებასაც გამოიწვევს-გაამწვავებს. აქ მნიშვნელოვანია, რომ ეს ქსელების მწყობრიდან გამოყვანას გულისხმობს და არა განადგურებას. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ავნონ სისტემებს და არა ხალხს.**

ჰაკერებს ძალუძთ, მოიპოვონ საბრძოლო სტრატეგიის შესახებ არსებული დოკუმენტებიც, რისი წყალობითაც უკრაინა მტრისგან დასაცავად სათანადოდ მოემზადება და მოსახლეობას შედარებით უსაფრთხო ადგილას გადაიყვანს. სავარაუდოა ეკონომიკური იერიშიც, როგორიცაა ანგარიშების „გაყინვა“, ტრანზაქციების შეჩერება და სხვა.

**როგორ განვითარდება მოვლენები, ამას ახლო მომავალში გავიგებთ. იქამდე კი იმედი ვიქონიოთ, რომ უკრაინა მტერს წინ აღუდგება ომში, რომელიც ერთდროულად ორ ფრონტზე მიმდინარეობს — რეალურსა და ციფრულ სამყაროში.**

# ვინ გვაჭყუებს, რუსეთი არასდროს დამარცხებულაო?!

## რუსეთი არ არსებობს, არსებობს რუსეთის იმპერია

### „რუსულ მიწათა შეგროვება“

**რუსეთის სახელმწიფოებრიობის დასაწყისად მიიჩნევა 862 წელი, ანუ სლავთა ტომების მიერ რიურიკის მთავრად მიწვევის წელი, რაც ფაქტობრივად ასევე შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის დაპყრობითი ომების დასაწყისადაც, რადგან რიურიკმა ბიზანტიაზე სალაშქროდ მალევე გააგზავნა თავისი ორი ვოევოდა — ასკოლდი და დირი.**

879 წელს გარდაცვლილი რიურიკი შეცვალა მისმა ნათესავმა ოლეგმა, რომელმაც 882 წელს სამხრეთისაკენ წამოიწყო ლაშქრობა... და ასე დაუსრულებლად. როგორც ისტორიკოსმა ბონდო კუპატაძემ უთხრა რადიო თავისუფლებას, რუსეთის ერთ მთავარს ცვლიდა მეორე მთავარი, ერთ მეფეს — მეორე მეფე, იმპერატორს — იმპერატორი, გენმდივანს — გენმდივანი, პრეზიდენტს — პრეზიდენტი, მაგრამ არ იცვლებოდა 1200 წლის წინ დაწყებული რუსეთის ექსპანსიისა და გაფართოების პროცესი, რასაც მისი მმართველები, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა სახელს არქმევდნენ:

**„რუსული იდეოლოგია ცდილობს, ყველა ის ომი, რომელიც კი უწარმოებია, მათ შორის თავდასხმები მეზობლებზე, გააფორმოს მათზე ზრუნვად, დახმარების აღმოჩენად, განთავისუფლებად, ინტერნაციონალურ დახმარებად და ა.შ. ციმბირის დაპყრობას დაარქვეს „ციმბირის ათვისება“, რაც სინამდვილეში დაპყრობა იყო. ახლაც პუტინმა უკრაინაში შეჭრის წინ განაცხადა, რომ აპირებს არა უკრაინის ოკუპაციას, არამედ „დემილიტარიზაციას“ და „დენაციფიკაციას“.**

**რუსი ფილოსოფოსი, ნიკოლაი ბერდიაევი გამოყოფდა ისტორიულად არსებულ ხუთ სხვადასხვა რუსეთს: კიევის რუსეთს, მონღოლთა რუსეთს, მოსკოვიტურ რუსეთს, პეტრე დიდის რუსეთსა და რუსეთის იმპერიას.**

1996 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში **„რუსეთი ერთი, რუსეთი ორი...“**, ფილოსოფოსი მამუკა ბიჭაშვილი შენიშნავს, რომ განუწყვეტელი ტერიტორიული ზრდის პროცესი, რომლითაც რუსეთი გამოირჩევა, მოსკოვიტიაში დაიწყო:

**„დევიზი „რუსულ მიწათა შეგროვება“ პოლიტიკურ პრაქტიკაში ერთობ სპეციფიკურად იქნა გაგებული. 1552 და 1556 წლებში მოსკოვმა დაიპყრო ყაზანის და ასტრახანის, ხოლო 1598 წელს — ციმბირის სახანოები. პეტრე პირველმა მეფის მამული სამშობლოდ აქცია და მან წამოაყენა დევიზი „სამშობლოს მიწების გამრავლება“. ორივე დევიზი ქვეყნის ტერიტორიულ ზრდას გულისხმობდა სხვა ქვეყნების ზრდის ხარჯზე. ამასთან, რუსული იმპერიის სპეციფიკური ნიშანია დაპყრობილი, ინკორპორირებული მიწა-წყლის სამშობლოდ ქცევა“.**

**იყო სამი დიდი ომი: შვედეთთან, რომელიც ბალტიის ზღვაზე გასვლას გულისხმობდა და რომელიც დამთავრდა რუსეთისთვის მეტ-ნაკლები წარმატებით, რადგან შეძლო ყოფილი ლივონიის ორდენის სივრცეების (ბალტიისპირეთის) დაპყრობა. მეორე ომი ოსმალეთთან და ეს ომიც ზღვაზე გასვლას ისახავდა მიზნად, თუმცა მიაღწია მხოლოდ აზოვის ზღვამდე, მაგრამ შავ ზღვამდე ვერ მივიდა, და მესამე ომი ირანის წინააღმდეგ, რომლითაც კასპიის ზღვაზე გასვლა სურდა. მიაღწია სამხრეთ კასპიისპირეთს, თუმცა მალე უკან დაბრუნება მოუწია ჯარში გაჩენილი სახადის გამო“,** — ამბობს **ბონდო კუპატაძე,** რომლის თქმითაც, დაპყრობითი ომების მორიგი დიდი ეტაპი დაიწყო ეკატერინე II-მ, რომლის დროსაც რუსეთმა პირველად გაიწია ევროპისკენ და გერმანიასაც მიაღწია:

**„ეკატერინეს დროს ყალიბდება კიდევ ერთი ახალი თეორია, რომელიც გულისხმობს სლავი ერების მფარველობასა და პატრონობას, რომ ყველა სლავი ერი უნდა იყოს რუსეთის პატრონობის ქვეშ. ეკატერინეს დროს შედგა დიდი საბერძნეთის პროექტი, რომელიც გულისხმობდა ოსმალეთისთვის მიწების წართმევას და რუსეთის იმპერიის ზრდას სამხრეთის მიმართულებით. ეკატერინეს დროს მოხდა უკრაინის ძირითადი ტერიტორიების, ყირიმის დაპყრობა. ამავე პერიოდში მომზადდა ჩვენთვის საბედისწერო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც რუსეთმა დაარღვია (1801 წელს გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო) და სამხრეთ კავკასიაშიც ჩამოდგა ფეხი. ეს იყო პლაცდარმი კავკასიის დაპყრობისთვის, რისთვისაც რუსეთმა XIX საუკუნეში აწარმოა 4 ომი ოსმალეთთან და 2 ომი ირანთან“.**

### რუსეთის იმპერიის სპეციფიკური ნიშანი

**პეტრე I-ის მეფობის 35 წელში თითქმის არ მოიძებნება თავიდან ბოლომდე მშვიდობიანი, ომის გარეშე ჩავლილი წელიწადი. დაპყრობით ომებში იყო ჩართული ეკატერინე II-ც, რომლის დროს არსებული რუსეთის 50 გუბერნიიდან, 11 სწორედ მის მიერ იყო „მოპოვებული“.**

ისტორიკოს ბონდო კუპატაძის თქმით, რუსეთის დაპყრობითი ომები განსაკუთრებულ მასშტაბს იღებს პეტრე დიდიდან, რომელიც აყალიბებს ცნობილ „სამი ზღვის თეორიას“, რომლის მიხედვითაც რუსეთს არსებობისთვის სჭირდება გასვლა სამ ზღვაზე: ბალტიის, კასპიისა და შავ ზღვებზე.

**„ზღვაზე გასვლას სჭირდება შესაბამისი ტერიტორიების დაპყრობა. დღევანდელი ვითარება სწორედ ამ თეორიის გამოხატულებაა და დღემდე აცოცხლებს რუსულ იმპერიალიზმს. პეტრეს დროს**

აშკარაა, რომ რუსეთის იმპერიის სპეციფიკური ნიშანია ქვეყნის ტერიტორიის განუწყვეტელი ზრდა და გაფართოება. რაც, ისტორიკოს მამუკა ბიჭაშვილის თქმით, რუსეთში წარმოშობს ტენდენციებს, რომელთა პერმანენტული ხასიათი საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ „გეოპოლიტიკურ კანონზე“ რუსეთის იმპერიისათვის:

**„ეს „კანონი“ გვეუბნება, რომ რაც უფრო ფართოვდება რუსეთის იმპერიის ტერიტორია, მით უფრო ძლიერი პოლიტიკური რეჟიმია საჭირო ამ ფართობის შესანარჩუნებლად, და რაც უფრო ძლიერდება პოლიტიკური რეჟიმი, მით უფრო უარესდება მეტროპოლიის მოსახლეობის მდგომარეობა“ („რუსეთი ერთი, რუსეთი ორი...“, 1996 წ.).**

ყირიმის ომისდროინდელი კარიკატურა

### ომები და ახალი ტერიტორიები

**რუსეთის** იმპერიის ეს „გეოპოლიტიკური კანონი“ მოქმედებს როგორც იმპერიამდელი, ასევე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსეთისთვისაც, რადგან, როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ, გრაფმა სერგეი ვიტემ შენიშნა, სინამდვილეში „რუსეთი არ არსებობს, არსებობს რუსეთის იმპერია“,

**რომელიც სულ ომებშია ჩართული და, რომელიც სულ ფართოვდება.**

2018 წელს რუსეთში გამოიცა ცნობარი „სამხედრო კონფლიქტები, კამპანიები და რუსული ჯარების სამხედრო ოპერაციები 860-1914 წლებში“, რომელშიც აღწერილია რუსეთის მონაწილეობით წარმოებული ყველა ომი რუსეთის დაარსებიდან პირველ მსოფლიო ომამდე.

**საუბარია 997 კონფლიქტზე, 767 კამპანიასა და 7625 საბრძოლო შეტაკებაზე!..**

- **ცნობარში გაანალიზებულია რუსეთის მიერ 1158 წლის განმავლობაში (860 წლიდან - 2018 წლამდე) წარმოებული ომების შედეგების (გამარჯვებებისა და მარცხების) ჯამური ანალიზი: 504 გამარჯვება; 328 დამარცხება; 79 გაურკვეველი შედეგი;**
- **რუსეთმა გამარჯვება-დამარცხების საუკეთესო თანაფარდობა აჩვენა X და XIX საუკუნეებში.**
- **ყველაზე მშვიდობიანი მმართველები, რომელთა მეფობის დროს არ ყოფილა დიდი კონფლიქტები: ბორის გოდუნოვი, ეკატერინე I, პეტრე II, ალექსანდრე III.**
- **რუსეთის ყველაზე აგრესიული მეფეები: ალექსანდრე I, ივანე IV მრისხანე.**

1462 წლიდან 1900 წლამდე რუსული არმიის ძირითადი ძალები იბრძოდნენ უმთავრესად სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით. XVIII საუკუნეში რუსული არმია იბრძოდა ძირითადად ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (28 წელი).


ათასი კვ. კმ.
5772 ციმბირში შეღწევა
3712 გაფართოება შორეული აღმოსავლეთისა და იმიერბაიკალეთისკენ
პროტექტორატი უცროს და შუა შუზეზე
ვოლგისპირეთის, ურალის, ობისა და დონის კაზაკობის გავლენის სფეროში მოქცევა
ალასკაზე უფლებების დაფიქსირება
ბალტიის ქვეყნები
პოლონეთი, მავიზღვისპირეთი, ყირიმი
გაფართოება შუა აზიისკენ, შორეული აღმოსავლეთისკენ. ალასკის გაყიდვა
ყირიმის მიერთება
1956
1855
1525
846
795
787
781
722
660
643
482
425
263
263
151
62
30
25
22
0
0
0
0
0
0
0
0
0
-7
-64
-223
-839
-5194
მიხეილ თეოდორეს ძე რომანოვი
ალექსეი მიხეილის ძე
ანა იოანეს ასული
იოანე ზრისსაზე
ალიოლ I
პეტრე I
ეკატერინე II
თეოდორე იოანეს ძე
ალექსანდრე II
ალექსანდრე I
ივანე III
იოსიფ სტალინი
იოანე VI
ნიკოლოზ I
ბორის ბორისის ძე
ნიკოლოზ II
ალექსანდრე III
ეკატერინე I
ვასილი IV შუისკი
ვლადიმირ პუტინი
ელისაბედ პეტრეს ასული
ანა ლეოპოლდოვნა
ივანე V
პეტრე II
ნიკიტა ხრუშჩოვი
ლეონიდ ბრეჟნევი
იური ანდროპოვი
კონსტ. ჩერნენკო
ბორის ელცინი
ალექსეი ალექსეევი
ალექსეი III
სოფია
ეკატერინე III
ალექსეი II
ალექსეი I
ივანე VI
ელისაბედ პეტრეს ასული
ალექსეი II
ალექსეი I
ალექსეი III
ალექსეი II
ალექსეი I
ალექსეი III
ალექსეი II
ალექსეი I
ალექსეი III




# პუტინი – მეოცე საუკუნის ტირანი

**„ეს ყველაზერი არის იმის მიღმა, რაც ყველაზე უარეს სცენარად შეიძლებოდა წარმოგვედგინა. ეს არის ყველაზე საშიში რამ, რაც ჩვენი ცხოვრების განმავლობაში მომხდარა. თუკი ჩვენ უფლებას მივცემთ ვლადიმირ პუტინს, რომ მისი ეს საშინელი მცდელობა წარმატებული იყოს, ეს შეცვლის ჩვენი ცხოვრების მიმართულებასაც“,** – ასე აფასებს უკრაინაზე რუსეთის თავდასხმას ბილ ბროუდერი, „მაგნიტსკის აქტის“ ერთ-ერთი ავტორი და აქტივისტი „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში.

**ბროუდერი წლებია დასავლეთისგან რუსეთში ადამიანის უფლებების დამრღვევი ოფიციალური პირების სადამსჯელო ღონისძიებების წახალისებას ცდილობს. მისი მცდელობა, მისივე თანამშრომლის, სახელმწიფო კორუფციული სისტემების გამამჟღავნებელი იურისტის სერგეი მაგნიტსკის მკვლელობაში ეჭვმიტანილები დასჯილიყვნენ, საკანონმდებლო ინიციატივადაც კი იქცა, რომელიც „მაგნიტსკის აქტის“ სახელითაა ცნობილი.**

ბროუდერი ამბობს, რომ დასავლური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ ძალიან ძლიერია, მაგრამ აუცილებელია, რომ პოლიტიკა იყოს არა მხოლოდ ძლიერი, არამედ იმ კუთხით იყოს მიმართული, რაც პუტინს ყველაზე მეტად ადარდებს, ეს კი მისი ფულია. ასევე, რუსეთის ის ყველაზე მდიდარი ოლიგარქები, რომლებსაც სანქციები ჯერ არ დაწესებიათ. ყველაზე მტკივნეული კი მისი აზრით, რუსეთის გლობალური ელექტრონული გადახდების შეტყობინების სისტემიდან SWIFT-იდან გათიშვაა, რისი გაკეთებისგანაც დასავლეთი ჯერ კიდევ თავს იკავებს.

24 თებერვალს, გამთენიისას რუსეთი უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე კიდევ ერთხელ შეიჭრა. სატელევიზიო ეთერით გამოსვლისას ვლადიმირ პუტინმა თქვა, რომ უკრაინის „არალეგიტიმური მმართველი რეჟიმი“ რუსეთს საფრთხეს უქმნის და ქვეყანა „გასაწმენდია ნაცისტებისგან“. მისი გამოსვლის დასრულებისთანავე უკრაინის არაერთ ქალაქში გაისმა აფეთქებების ხმა. რუსულმა ჯარმა უკრაინას რამდენიმე მიმართულებიდან, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ძალების გამოყენებით შეუტია. დასავლურმა ქვეყნებმა კრემლთან დაახლოებულ პირებს, კანონმდებლებს და მათ ოჯახებს სანქციები დაუწესეს.

**ანალიტიკოსთა ნაწილს დასავლეთის ერთიანობა მოსწონს, თუმცა ნაწილი დასავლელ ლიდერებს აკრიტიკებს, რადგან მათ ჯერ კიდევ არ გამოიყენეს ყველა ეკონომიკური ბერკეტი ვლადიმირ პუტინის ძცევაზე რეალური გავლენის მოსახდენად.**

ვლადიმირ პუტინი ხუთშაბათს ბიზნესმენებსაც შეხვდა და თქვა, რომ მას არ სურს გლობალური ეკონომიკისგან გამოთიშვა და მისი დაზიანება. **„პუტინს იმედი აქვს, რომ ერთ-ორ წელიწადში ყველას დაავიწყდება რა გააკეთა მან და მასთან კვლავ ექნებათ საქმიანი ურთიერთობა. ესაა მისი გამოცდილება წარსულიდან“,** – ამბობს ბროუდერი და განმარტავს, რომ ამჯერად პუტინს მისი ევროპელი გულშემატკივრებიც კი ვეღარ იცავენ და ვერ ამართლებენ, რადგან ამ ვითარებიდან უკან დასახევი გზა აღარ არსებობს. **„ეს არის ქვეყანაში შეჭრა, ქვეყნის დაბომბვა პროვოცირების გარეშე, ეს სრულიად დაუვიწყარი და მიუღებელი რამაა“,** – ამბობს ბროუდერი და დასძენს: **„დასავლეთის პასუხი არის ძლიერი, და ის ახლა უნდა იყოს ჭკვიანურიც. ამჟამად უმთავრესი ისაა, რომ მიზანში იყოს ამოღებული ის, რაც პუტინს ყველაზე მეტად ადარდებს. ეს ოლიგარქებია, ეს არის SWIFT-ი. ამ დრომდე არც ერთი რამ აქედან არ გაკეთებულა“**

* * *

ყველაზე ხანგრძლივი სტაჟის მქონე ამერიკელი ყოფილი დიპლომატი **დენიელ ფრიდი** ამბობს, რომ ეს მეორე მსოფლიო ომის სტილის აგრესიაა და პუტინიზმის დამარცხება მხოლოდ იმითაა შესაძლებელი, თუკი ეს აგრესია დასავლეთში მის საწინააღმდეგო პოლიტიკაში გადაიზრდება.

**„ვლადიმირ პუტინის საბოლოო მიზანი უკრაინაზე უპირატესობის მოპოვება და ევროპის დაშინებაა. მას სურს ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე რუხი ზონა თავიდან შექმნას. სურს აღადგინოს რუსული იმპერია იმდენად, რამდენადაც ამას შეძლებს. ის რეალურად უკვე აკონტროლებს ბელარუსსაც. ის უკვე აღარაა დამოუკიდებელი ქვეყანა. მაგრამ პუტინი დიდ რისკზე მიდის. უკრაინელი ხალხი, მაშინაც კი თუკი სამხედრო თვალსაზრისით დამარცხდება, უცხო ქვეყნის ოკუპაციას არ შეეგუება. ეს ცუდად დამთავრდება პუტინისთვის, მაგრამ ამჟამად ის მოქმედებს როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისის ან შუა წლების დიქტატორი, ყველა თანმდევი შედეგით“,** – ამბობს ფრიდი.

„ატლანტიკური საბჭოს“ უფროს მკვლევარს და რამდენიმე ადმინისტრაციის მრჩეველს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში მიაჩნია, რომ პუტინს მხოლოდ მტკიცე წინააღმდეგობა და სოლიდარობა გააჩერებს.

**„პუტინი არ გაჩერდება. ის თავს ესხმის მეზობელს. მისი გაჩერება შეუძლია მხოლოდ უკრაინელი ხალხის ხანგრძლივ წინააღმდეგობას და დასავლეთის მხრიდან სოლიდარობასა და სანქციებს. ჩვენ პუტინის აგრესია პუტინიზმის სტრატეგიულ მარცხად უნდა ვაქციოთ. ჩვენ ეს გამოწვევა ხანგრძლივი დროის განმავლობაში სერიოზულად უნდა მივიღოთ. ეს არ იქნება მარტივი და სწრაფი პროცესი, მაგრამ საბოლოოდ, ჩვენი მოწინააღმდეგე სისტემა არის პუტინიზმი და პუტინის რუსეთი. არ ვარ დარწმუნებული, უჭერს თუ არა მხარს რუსი ხალხი პუტინის აგრესიას უკრაინის მიმართ, მაგრამ ახლა მისი შეიარაღებული ძალები მეორე მსოფლიო ომის სტილის აგრესიას ახორციელებენ. ეს ჰგავს ჰიტლერის მიერ პოლონეთზე თავდასხმას. მსგავსია ყალბი მტკიცება იმისა, რომ პოლონეთი ახდენდა ამ თავდასხმის პროვოცირებას ისევე, როგორც ყალბია დღეს უკრაინელების მიერ პროვოკაციების მტკიცება“,** – ამბობს დენიელ ფრიდი „ამერიკის ხმასთან“.

ყოფილი დიპლომატი იხსენებს, რომ 90-იანი წლების შემდეგ ამერიკის პრეზიდენტები გამუდმებით ცდილობდნენ რუსეთისთვის ხელის გაწვდენას, მაგრამ პუტინი არის მეოცე საუკუნის ტირანი და ამიტომ „ჩვენ უნდა გამოვიტანოთ გრძელვადიანი დასკვნები ჩვენივე პოლიტიკიდან.“

სწორედ შეუსაბამო დასკვნებზე და არასწორ გზავნილებზე საუბრობს საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონის კიდევ ერთი მკვლევარი **კიერ ჯაილსი**. „ჩატამ ჰაუზის“ რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის უფროსი მრჩეველი მკვლევარი ამბობს, რომ უკვე საკმარისზე მეტად აშკარაა, რომ დასავლეთის აქცენტი დიპლომატიაზე, სანქციებზე და სანქციების მუქარით პრეზიდენტ პუტინის დარწმუნების მცდელობა, არ შეჭრილიყო უკრაინაში, წარუმატებელი აღმოჩნდა. ეს ყველაფერი კი სინამდვილეში ათწლეულების განმავლობაში გრძელდება.

**„სამწუხაროდ, დასავლეთმა ძალიან ადრეულ ეტაპზევე გამორიცხა უკრაინისთვის პირდაპირი სამხედრო დახმარების გაწევის შესაძლებლობა. ამერიკამაც და ბრიტანეთმაც თქვეს, რომ არ იქნებოდა სამხედრო წარმომადგენლობა იმისათვის, რომ რუსეთისთვის წინააღმდეგობა გაეწია და დახმარებოდა უკრაინელებს, ამან პრეზიდენტ პუტინს მწვანე შუქი აუნთო. და ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც ამ შეცდომას ვუშვებთ. 2014 წელს ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო ქმედებების დაწყებისას ბარაკ ობამამ თქვა, რომ არ არსებობდა უკრაინის კრიზისიდან სამხედრო გამოსავალი. ამან პრეზიდენტ პუტინს მისცა მწვანე შუქი, რომ საკუთარი სამხედრო გამოსავალი გამოეყენებინა, რადგან იცოდა, რომ შეერთებული შტატები არ ჩაერეოდა“,** – ამბობს ჯაილსი.

მკვლევრის აზრით, დასავლეთმა რუსეთისადმი დამოკიდებულება და სტრატეგია სრულიად იმის საპირისპიროდ უნდა წარმართოს, რა რიტორიკაც ახლა ისმის. მისი თქმით, მართალია უკრაინა არაა ნატოს წევრი სახელმწიფო და მასზე „კოლექტიური თავდაცვის“ ვალდებულება არ ვრცელდება, მაგრამ იმის ხაზგასმით გამორიცხვამ, რომ მოკავშირეები არ დაიცავდნენ უკრაინას და ერთ ჯარისკაცსაც არ დატოვებდნენ ქვეყანაში, ვლადიმირ პუტინს მისცა შესაძლებლობა, ყველაზე უარესი სცენარი აემოქმედებინა და შედეგები გაეთვალა.

**„რაც უნდა არარეალისტური ყოფილიყო დასავლელი ლიდერების მხრიდან იმის დაშვება, რომ უკრაინას პირდაპირი სამხედრო ძალით დაიცავდნენ, არ იყო საჭირო იმ ფაქტის რეკლამასავით გამოცხადება, რომ მათ არ სურთ ამის გაკეთება. რუსეთს არ ენდომებოდა დასავლეთთან ესკალაცია და კიდევ ერთხელ დაფიქრდებოდა სანამ ამას გააკეთებდა, ამ ესკალაციის შესაძლებლობა რომ ჯერ კიდევ არ ყოფილიყო გამორიცხული“,** – ამბობს კიერ ჯაილსი.

მისი აზრით, რუსეთი წლების განმავლობაში წარმატებით ავრცელებდა გზავნილებს იმის შესახებ, თუ რამდენად სარისკო უნდა იყოს დასავლეთისთვის რუსეთთან, როგორც ბირთვულ ძალასთან დაპირისპირება და რისკების მისთვის სასურველი აღქმა საბოლოოდ დასავლელმა ლიდერებმაც გაითავისეს.

**„რუსეთი განზრახ და ინტენსიურად ავრცელებს გზავნილს, რომ შეუძლებელია რუსეთს დაუპირისპირდე ისეთი არაკონტროლირებადი ესკალაციის გარეშე, რომლის მასშტაბიც ბირთვულ ომამდე მიდის. ეს გზავნილები ძალიან წარმატებული იყო და მათით უკვე გაიჟღინთა დასავლეთის შეხედულებები იმდენად, რომ დასავლელი თავდაცვის ლიდერებისა და პოლიტიკოსებისგან განმეორებითად გვესმის ზუსტად იგივე. პრეზიდენტ პუტინის ახლანდელი გაფრთხილებაც იმის შესახებ, თუ რა მოხდება, თუკი დასავლეთი ჩაერევა და უკრაინის დაცვას ეცდება, ძალიან ნაყოფიერ ნიადაგზე ხვდება, რადგან უკვე ბევრს სჯერა ამის“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

**სამხედრო შეტაკებების, საჰაერო იერიშების, ამ იერიშების მოგერიებისა და მსხვერპლის თვლის შემდეგ, უკრაინაში 24-27 თებერვალი საომარ ვითარებაში დაღამდა...**

ეკა მაღალდაძე

◎ რუსეთი სპორტს კარგავს

# გაუქმებული და გადადებული ტურნირების გრძელი სია

**უკრაინაში მიმდინარე მოვლენები დიდ კვალს ტოვებს რუსულ სპორტზე. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, უეფა და სხვა სპორტული ორგანიზაციები სანქციებს უწესებენ რუსულ კლუბებს, სპორტულ ორგანიზაციებსა და რუსეთში გასამართავ საერთაშორისო ტურნირებს...**

## ფეხბურთი

- 2022 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი სანკტ-პეტერბურგიდან პარიზში გადაიტანეს.
- რუსული კლუბები ევროთასების საშინაო მატჩებს ნეიტრალურ მოედნებზე ჩაატარებენ.
- რუსეთის ნაკრები უეფა-ს ეგიდით მატჩებს ნეიტრალურ მოედნებზე მოაწყობენ.
- პოლონეთმა, შვედეთმა და ჩეხეთმა უარი თქვეს მოსკოვში გამგზავრებაზე მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის პლეი-ოფის მატჩების სათამაშოდ.

## კალათბურთი

- საკალათბურთო ევროლიგამ გაურკვეველი ვადით გადადო ცსკა-ს, უნიქს-ისა და ზენიტის მატჩები.
- ლიეტუვას ჟალგირისი ბოიკოტს უცხადებს ევროლიგაზე ცსკა-სა და ზენიტის წინააღმდეგ შეხვედრებს.
- ესტონეთის კალევი და პოლონეთის ზელენა-გურა გავიდნენ ვთბ-ის საკალათბურთო ლიგიდან.
- ნიდერლანდებმა უარი თქვა კალათბურთში მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშში რუსეთის მასპინძლობაზე.

## სხვადასხვა

- საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მოუწოდა ტურნირების გაუქმების ან გადადების შესახებ რუსეთსა და ბელარუსში.
- ფორმულა 1-მა გააუქმა 2022 წელს რუსეთის გრან პრი.
- 2022 წლის საჭადრაკო ოლიმპიადა მოსკოვში აღარ გაიმართება.
- ფინეთის იოკერიტი და რიგის დინამო ჰოკეის კონტინენტალური ლიგიდან გამოდიან.
- შვედეთმა და ფინეთმა უარი თქვეს რუსეთში ბურთით ჰოკეის მსოფლიოს 2022 ჩემპიონატში მონაწილეობაზე.
- პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გააუქმა მოსკოვის ტურნირი.
- გაუქმდა სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის ეტაპები, რომელთათვისაც რუსეთს უნდა ემასპინძლა (სულ 6 ეტაპი).
- რუსი სპორტსმენები სათხილამურო სახეობებში დროშისა და ჰიმნის გარეშე გამოვლენ.
- რუსეთს ჩამოართვეს ქერლინგში ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა.

◎ ომი და მშვიდობა

# ტრიბუნები - გზად და ხიდად

**თურმე, როგორ მოგვნატრებია გულშემატკივართა მიერ თანამემამულე კალათბურთელთა მხარდასაჭერად თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე დანთებული ტრადიციული ცეცხლი, მაგრამ ამჯერად ქომაგობა უკრაინელ ერს უფრო სჭირდება და საავსებით ლოგიკური გახლდათ, მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ჯგუფური რაუნდის მატჩის დროს „ლურჯ-ყვითელი“ დროშები ჩვენი „ხუთჯვრიანის“ მხარდამხარ რომ ფრიალებდა და დარბაზში შესაბამისი შეძახილები რომ გაისმოდა.**

### საქართველო - ჩრდ. მაკედონია 91:70
(24:18, 22:13, 22:16, 23:23)

**საქართველო:** მაკფადენი — 26, შერმადინი — 20, ჯინჭარაძე — 12, სანაძე — 11, ბერიშვილი — 10, ბოქოლიშილი, ლონდარიძე, ბექაური — 4-4 ქულა. ითამაშა აგრეთვე ბაქრაძემ. განაცხადში იყვნენ დვალიშვილი, ფხაკაძე და კორსანტია.

**მწვრთნელი** — ილიას ზუროსი.

მართალია, შენგელია და ბურჯანაძე გვაკლდნენ, მაგრამ დანარჩენ ლეგიონერთა ტრიიმ სამაგალითოდ იბრძოლა და მეტოქე ხერხემალში გადატეხა.

არანაკლებ სასიამოვნოა, რომ ლიდერებს ღირსეულად აუბეს მხარი სუპერლიგის მოთამაშეებმა და ბაქრაძემაც კი, რომელმაც შეხვედრა უქულოდ დაასრულა, პარტნიორებს უხვად ჩამოურიგა შედეგიანი გადაცემები.

ამავე დროს, გაგვაოცა მასპინძელთა ბერძენი თავკაცის გადაწყვეტილებამ — ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დაეტოვებინა გუნდის წევრთა მეოთხედი მაშინაც კი, როცა ბიჭები სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ. არადა, ზუროსი კოლეგათაგან იმითაც გამოირჩევა, რომ თამამად უცხადებს ნდობას რეზერვისტებს. იმავე დღეს უკრაინამ ვაუკაცურად იომა ესპანეთში, მაგრამ მაინც დამარცხდა — 74:88.

**ესპანეთი — 3, საქართველო — 2, უკრაინა — 1, ჩრდ. მაკედონია — 1 გამარჯვება.**

# ალექსანდერ სტუბი: პუტინს რუსეთის 1800 წლის საზღვრებში აღდგენა უნდა!

**„მას უნდა, როგორმე შეაჩეროს უკრაინის განუხრელი ევროპეიზაცია... სურს აღადგინოს ნოსტალგიური, ისტორიული დიდი რუსეთი, სადღაც 1800 წლის საზღვრებში, რომელიც საბჭოთა კავშირის მოდელზე იქნება აგებული“, — უთხრა რადიო თავისუფლებას ფინეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ალექსანდერ სტუბმა. პოლიტიკური კარიერა მან იმ წელს დაიწყო, როდესაც ვლადიმირ პუტინი რუსეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. სტუბი დღემდე, სხვადასხვა დროს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ევროპულ საქმეთა მინისტრი, ევროპარლამენტარი იყო. ის პუტინს, რუსეთს და რეგიონს კარგად იცნობს.**

**ვაჟა თავბერიძე ალექსანდერ სტუბს პრაღიდან ესაუბრა.**

**— როგორია დღევანდელი სურათი — რას ვხედავთ?**

— რასაც ვხედავთ, არის რუსული აგრესიის კლასიკური სცენარი ცივი ომის შემდეგ. პირველი საქართველო იყო 2008 წლის აგვისტოში, მეორე - ყირიმი და დონბასის რეგიონი 2014 წელს, ახლა კი მესამე ფაზას ვხედავთ - სრულმასშტაბიან შეჭრას უკრაინაში. კრემლის სახელმძღვანელო წიგნაკი მეტწილად უცვლელი დარჩა — უბრალოდ დაემატა ახალი პუნქტი, სრულმასშტაბიანი იერიში, რასაც ბევრი არ ელოდა და რისი მომსწრეებიც ვართ 24 თებერვლის დილიდან.

**— მისი ცნობილი ერთსაათიანი ტირადიდან გამომდინარე — რის მიღწევას ცდილობს პუტინი — „უბრალოდ“ რეჟიმის შეცვლას კიევში თუ სურს, ის ტირადა ახალ რეალობად გვიქციოს?**

— მისი სიტყვა თითქმის დისტოპიური იყო. და ეს არ იყო ის, რასაც მე კლასიკურ პუტინს ვეძახი, ის საკმაოდ არარაციონალურად მომეჩვენა, რაღაცებს როშავდა... პუტინი „საქმეში“ ბევრჯერ მინახავს ბოლო წლების მანძილზე და, როგორც წესი, ბევრად უფრო ნიუანსური და დალაგებულია, ვიდრე იმ სიტყვისას იყო. ძნელია თქმა, როგორია ის ენდშპილი, რომელიც პუტინმა დაგეგმა, მაგრამ შეგვიძლია ვისაუბროთ მოტივებზე, რამაც მას ეს ნაბიჯი გადაადგმევინა. ერთ-ერთი მთავარი, რაზეც შედარებით ნაკლებს საუბრობენ, არის ის, რომ მას უნდა, როგორმე შეაჩეროს უკრაინის განუხრელი ევროპეიზაცია. ეს 1989 წლის მომენტია უკრაინისთვის. მეორე — ვიცით, რომ უნდა აღადგინოს ნოსტალგიური, ისტორიული დიდი რუსეთი, სადღაც 1800 წლის საზღვრებში, რომელიც საბჭოთა კავშირის მოდელზე იქნება აგებული. პუტინის ისტორიული, დიდი რუსეთი სამი ელემენტისგან შედგება: ერთი ენა — რუსული, ერთი რწმენა — მართლმადიდებლობა, და ერთი ლიდერი — თავად პუტინი.

ამ ისტორიულ დიდ რუსეთში შედის ბელარუსიც, რომელზეც რატომღაც აღარავინ საუბრობს — კარგი იქნება, ბავშვს ნაბან წყალს თუ არ გადავაყოლებთ — სწორედ ამას ვაკეთებთ ახლა, როდესაც ბელარუსზე ხმას აღარ ვიღებთ. პასუხისმგებლობა ლუკაშენკოსაც უნდა დაეკისროს — მისი „წვლილი“ არ უნდა დაგვავიწყდეს, ის ამ თამაშში ფიგურა გახდა და ამ ყველაფერზე ხელებს ვერ დაიბანს. ერთი დადებითი, რაც შეიძლება აღვნიშნო, არის ის, რომ პუტინს გული ეთანაღრება, რომ დასავლეთის რეაქცია იმაზე მძაფრი გამოდგა, ვიდრე ის გეგმავდა და სწორედ იმას იღებს, რისი თავიდან აცილებაც სურდა — უკრაინელები რუსებს მტრად მიიჩნევენ, ფინელები და შვედები უფრო დაფიქრდნენ ნატოში გაწევრებაზე. ასე რომ, შეიძლება ეს ყველაფერი პუტინის დასასრულის დასაწყისი გახდეს.

**— ადრინდელ ინტერვიუში პუტინს უწოდეთ „ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი, სტრატეგიული ლიდერი“, რომელსაც ოდესმე შეგხვედრიათ. ეს კონტრასტშია ბევრი თქვენი დასავლელი კოლეგის შეფასებებთან — როგორც წესი პუტინს ეძახიან „პარანოიდს, ყალთაბანდს, გიჟს“. საუკეთესო შემთხვევაში — „ტაქტიკოსს, მაგრამ არა სტრატეგს“. ხომ არ ფიქრობთ, რომ დასავლეთი სათანადოდ ვერ აფასებს პუტინს?**

— ვფიქრობ, სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ. თუ ადამიანი 20 წელია ძალაუფლებას ინარჩუნებს რუსეთში, როგორც პრეზიდენტი და პრემიერი, ე. ი. ის, სულ მინიმუმ, სტრატეგიული და რაციონალური მოაზროვნეა. ჩვენ არ ვიცით, რა უტრიალებს მას თავში ახლა. ვფიქრობ, რომ დიახ, დასავლეთი ზოგჯერ მას არასწორად აღიქვამს. პუტინის შესაძლებლობების არასათანადოდ აღქმა დიდი შეცდომაა — ეს არასდროს უნდა გააკეთო.

**— რა რეაქციას უნდა ველოდოთ დასავლეთისგან?**

— სანქციების მეორე პაკეტს შემდეგ ალბათ მესამე ტალღა მოჰყვება. ახლა, როდესაც რუსეთმა სრულმასშტაბიანი ომი გააჩაღა უკრაინასთან და კიევში შეჭრას ცდილობს, ვიტყოდი, რომ ამ ეტაპზე სანქციები უნდა იყოს მაქსიმალურად მკაცრი. მაგიდაზე უნდა იდოს რუსეთის SWIFT-იდან გათიშვაც, რაც ფაქტობრივად სანქციების პაკეტის „ბირთვული იარაღია“. ეს რუსეთს ფაქტობრივად ფინანსური მომსახურებების სფეროდან გარიყავს. იმავე ტერმინს გამოვიყენებ, რაც მარიო დრაგიმ გამოიყენა, როდესაც ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი იყო ფინანსური კრიზისის დროს: ჩვენ ახლა „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“ მომენტის წინაშე ვდგავართ.

**— დღეს უკრაინას უწევს რუსეთის მოგერიება. ვისი ჯერი იქნება ხვალ? ბევრი შიშობს, რომ რუსეთი შემდეგ ნატოს არაწევრ მეზობლებს დაადგამს თვალს — აფიქრებთ ეს ფინეთში?**

— არა, ფინეთში ეს არ გვაშინებს. დიახ, 1340-კილომეტრიანი საზღვარი გვაქვს, მაგრამ თავს დაცულად ვგრძნობთ. ევროკავშირის წევრები ვართ, ნატოს პარტნიორები და ნატოს სტანდარტებს ალიანსის ბევრ წევრზე უკეთ ვერგებით. ბრწყინვალედ მომზადებული არმია გვყავს, არც თანამედროვე ტექნიკის ნაკლებობას ვუჩივით. რუსეთმა იცის, რას შეეჭიდება, თუ ფინეთის ან შვედეთისკენ გაიწევს. ასე რომ, არა, ფინეთის უსაფრთხოებაზე არ ვნერვიულობთ.

**ვაჟა თავბერიძე**

# ჰაინრიხ ბიოლის „ჩემი ფრიად ძვირფასი ფეხის“ ამბავი,



ნოდარ კაკაბაძე და ჰაინრიხ ბიოლი

## ანუ ერთი საღამო გერმანისტ ნოდარ კაკაბაძესთან ერთად

ნამდვილად მადლიერი ვარ ჩემი თავისა, რომ დღენიადაგ არა, მაგრამ მაინც ვიწერდი ღირსშესანიშნავ ამბებს, რასაკვირველია, ჩემი თვალსაზრისით ღირსშესანიშნავს. ერთ-ერთ ასეთ გამორჩეულ ამბად მიმიჩნევია ჩემს უფროს მეგობართან, თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ნაყოფიერ და თვით გერმანელთაგან ანგარიშგაწეულ მკვლევართან, პროფესორ ნოდარ კაკაბაძესთან.

იმ დღეს, შარშანდელი საუკუნის 70-იანი წლებია, მაისი, ნოდარმა დამირეკა და მიმიპატიჟა, ამ საღამოს ერთი თვალსაჩინო გერმანელი მწერალი მეყოლება სტუმრად და თუ დრო გაქვს, მეწვიეო. ცხადია, მიპატიჟებაზე უარი არ მითქვამს. თუ საღამო საგულისყურო გამოვიდოდა, რა თქმა უნდა, ინფორმაცია იმ გაზეთისთვის, სადაც იმხანად რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი, ურიგო არ იქნებოდა. ლაპარაკია გაზეთ „კომუნისტზე“.

მისვლისთანავე ნოდარმა სტუმარი გამაცნო, უკვე ნობელის პრემიის ლაურეატი, გერმანელი მწერალი ჰაინრიხ ბიოლი, რომელიც მეორედ იყო ჩამოსული საქართველოში. მეორე სტუმარი იყო ნოდარ რუხაძე, ისიც გერმანისტი, რომელსაც ქართულად გადმოენებული ჰქონდა ბიოლის „დოქტორ მურკეს შეგროვილი დუმილი“, ბიოლის ჩამოსვლის წინ „მნათობში“ დაიბეჭდა შეცვლილი სათაურით („დოქტორი მურკე აგროვებს დუმილს“).

ნოდარ კაკაბაძე ძალიან დაგულისყურებული იყო ბიოლის ცხოვრებითა და შემოქმედებით, მგონი, მონოგრაფიასაც ამზადებდა. იმ საღამოს ნოდარისგან შევიტყვე, რომ 1939-45 წლებში ბიოლი ჰიტლერის არმიის ჯარისკაცი ყოფილა. ტყვედ ჩავარდნია ამერიკელებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უსწავლია გერმანისტიკა. პირველი ნაწარმოები გამოუქვეყნებია 1947 წელს, 30 წლისას, იგი ეგრეთ წოდებული „ომის ომიდან დაბრუნებისა და ნანგრევების ლიტერატორის“ წარმომადგენელია, „ჯგუფი-47“. როგორც ნოდარმა აღნიშნა, ბიოლის თხზულებათა მთავარი თემაა მეორე მსოფლიო ომისგან ფსიქიკურად და ფიზიკურად გათელილი თაობის მიერ ცხოვრებაში ფეხის მოკიდების განწირული ცდა. იგი მორწმუნე ქრისტიანი კათოლიკე ყოფილა, მაგრამ უარყოფს ოფიციალურ ეკლესიას და კლერიკალიზმს, ამხელს რელიგიურ ფარისევლობას, რაც შეეხება წერის სტილს, მწერლის გამომსახველობითი საშუალებებია „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდი, მონტაჟის ტექნიკა, სათხრობი პერსპექტივის ცვლა, სიმბოლოთა სიჭარბე.

ჩვენი საუბრის თემაც სწორედ ეს იყო. საუბარი ღამის გვიან ღამემდე გაგვიგრძელდა. ნოდარი იმერელი კაცი იყო, რასაკვირველია, სუფრის გაშლა არ გულუმავიწყია. ღვინის სახელიც კი ჩამიწერია. გერმანელ სტუმარს ისე მოეწონა ჩხავერი, სულ „იფ-იფ“ იძახა. ეტყობა, საქართველოში წამოსვლის წინ საგანგებოდ გადახედა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ თარგმანებს და ხშირად ახსენებდა რუსთაველს, როგორც ქართველ ჰომეროსს. რამდენჯერმე სიტყვა ჩამოაგდო გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგზე“ და შტეფან ცვაიგისეულ შეფასებაზეც. რომ გაიგო წიგნის საცავებიდან რობაქიძე ამოღებულიაო, გაოცდა, მწერლის აკრძალვა სად გაგონილაო. ისე, მწერლისთვის აკრძალვა მხოლოდ სასარგებლოა, რამეთუ საშუალო დონისაც რომ იყოს, აკრძალული ხილი გემრიელია, მეტი მადიანი მსურველი ეტანებაო...

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ვიყავით, რომ ნოდარს მეორე მსოფლიო ომგამოვლილი მოგვარე თუ ნათესავი ესტუმრა, კუხელი კაკაბაძე, ცალფეხა, ყავარჯნიანი. ომიდან დაბრუნებული ციმბირში გადაესახლებინათ და ტყვედყოფილ ნაციმბირალს პენსიის დანიშვნას უჯანჯლებდნენ. ნოდართან, როგორც ცნობილ მოგვარესთან, საპროტექციოდ მოვიდა.

ბიოლმა რომ გაიგო საქმე რაში იყო, ერთი კი იკითხა, რა ხდებაო და თითქოს გახარებულმა, რაღაცა რაღაცას რომ დაემთხვა, თავისი პორტფელი გახსნა და ჟურნალი **„ფრანკურტერ რუნდშაუ“** ამოიღო, დასავლეთ გერმანიაში გამომავალი, სადაც დაბეჭდილი იყო იმისი მცირე პროზა („გურცგეშიხტე“), ერთ-ერთი მოკლე მოთხრობა **„ჩემი ფრიად ძვირფასი ფეხი“**. აი, თქვენი მოგვარე ქართველი ჯარისკაცის მსგავსი ამბავიაო აქ აღწერილი. თუ გააცნობთ, კარგი იქნებაო. ომში ფეხდაკარგულ კუხელ კაკაბაძეს თვალები გაუბრწყინდა, ჩანს,იფიქრა, რახან სახელიანი გერმანელი ჩაერევა, იქნებ მეშველოს რამეო.

არ ვიცი, აღარ მიკითხავს, მართლა რამე ეშველა თუ არა იმ ცალფეხა და პენსიაგაჯანჯლებულ კუხელ კაკაბაძეს, მაგრამ მოთხრობა ნოდარ რუხაძემ წაიღო და რამდენიმე დღის მერმე უკვე ქართულად გადმოენებული გადმომცა, იქნებ სადმე დაბეჭდო კიდეცო. აღარ მახსოვს, მაშინ ეს მოთხრობა სადმე დავბეჭდე თუ არა, მაგრამ დღეს ვთავაზობ მკითხველს, როგორც იმ დროის თუ იმ დრო-ჟამისთვის წაგლეჯილ ერთ საღამოს, რომელიც წარუშლელად ჩამრჩა გონებაში და დროდადრო მახსენებს თავს იმ გერმანელი თუ ქართველი ჯარისკაცის წაგლეჯილ ფეხსავით, ალბათ, ისიც შემთხვევის ამბავია, რომ ორსავე მარჯვენა ფეხი წაჰგლეჯოდა და ფეხგანწირვისთვის მადლიერების ნაცვლად ორივე სახელმწიფოსგან იჩაგრებოდა. გულში კი, უთუოდ ორივენი იმას ფიქრობდნენ, კიდევ კარგი, რომ თავიც არ გავწირეთო...

აი ისიც, ბიოლის მცირე ნოველა:

---

„...იმ დღეს კანცელარიიდან ღია ბარათი მივიღე, „საპენსიო საქმეთა გადასინჯვის განყოფილებაში“ მიხმობდნენ. მიღებით ძალზე თავაზიანად მიმიღეს, მოხელე კარგა ხანს ეძებდა ჩემი საქმის საქაღალდეს, მერე თქვა: „ჰმ“, მეც ჰმ-მეთქი, ვთქვი.

– რომელი ფეხი გაქვთ მოკვეთილი? – მკითხა მოხელემ.

– მარჯვენა.

– მთელი ფეხი.

– კი, მთელი ფეხი.

– ჰმ, – კვლავ თქვა მოხელემ და კარტოთეკის ქექვა დაიწყო. თანაც, როგორც იქნა, დაჯდომის ნება მომცა. თავისი აზრით, ვითომ საუკეთესო ბარათი იპოვა, თქვა:

– აი, ეს ნამდვილად საშენო საქმეა. იოლი სამუშაოა, შეგიძლია იჯდე და ისე იმუშავო. ფეხსაცმლის წმენდაობა რა, არ გინდა?

– არა, არ შემიძლია ფეხსაცმლის წმენდა. მე ყოველთვის იმით ვიქცევდი ყველას ყურადღებას, რომ გაუწმენდავი ფეხსაცმლით დავდიოდი.

– არა უშავრა, ისწავლით, – ჩემს გამხნევებას შეეცადა მოხელე. – გერმანელს ყველაფრის კეთება შეუძლია. თუ გინდათ, უფასოდ გაივლით ფეხსაცმლის წმენდის კურსს.

– ჰმ, – ვთქვი მე.

– ჰა, თანახმა ხარ?

– არა, – ვუთხარი, არ მინდა, ჩემი თხოვნაა, რომ პენსია გამიზარდოთ.

– თქვენ რა, გაგიჟდით? – შეშფოთდა თავაზიანი და მშვიდი მოხელე.

– სულაც არ გავგიჟებულვარ, ფეხს რა, დამიბრუნებს ვინმე თუ რა.

ის მოხერხებულად მოეწყო სავარძელში და მცირე დუმილის მერე თქვა:

– ძვირფასო! თქვენი ფეხი ნამეტანი ძვირი გვიჯდება. თქვენ ჯერ სულ ოცდაცხრა წლისა ხართ და თანაც სრულიად ჯანმრთელი ბრძანდებით. მხოლოდ ერთი ფეხი

გაკლიათ. დავუშვათ, რომ 70 წელიწადი იცოცხლეთ. მიდით, თქვენ თვითონ დათვალეთ. თვეში 70 მარკა, წელიწადში კი თორმეტი თვეა. მაშასადამე, 70 უნდა გავამრავლოთ თორმეტზე და მიღებული რიცხვი გავამრავლოთ ორმოცდაერთზე. გამოთვალეთ, რამდენი გამოდის და, რაც მთავარია, თქვენ ერთი ცალფეხა ინვალიდი არა ხართ ამქვეყნად. და მარტო თქვენ არ იცოცხლებთ ხანგრძლივად. როგორ ბედავთ, პენსიის გადიდებას? მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ ნამდვილად გაგიჟდით.

– ბატონო ჩემო, – კარგად მოვეწყე რა იმასავით სკამზე, მივუგე და მცირე დუმილის მერე ამოვთქვი, – როგორც ვხედავ, სწორად ვერ აფასებთ ჩემი ფეხის ღირებულებას. ჩემი ფეხი ძალზე ძვირფასია, გაცილებით ძვირია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ, აბა, ყური დამიგდე:

– მაგდენი დრო არ მაქვს.

– მაინც დამიგდე... ჩემმა ფეხმა ბევრი ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს, რომელთაც თქვენ გვარიან პენსიებს უხდით. დამიდგე ყური, თუ კაცი ხარ.

ეს ამბავი ფრონტზე მოხდა, შემოვლაზე ვიყავი. ყველაზე უფრო საშიშ წერტილში. მე დავალება მქონდა, ასი თვალი გამომება, რათა ვინც ჩემ უკან იყო, თავიანთი ტყავი გადაერჩინათ. უკან კი შტაბი იყო, სადაც ყველაფერს აწყობდნენ, ალაგებდნენ და კუდის ამოძუება არ უნდოდათ, არც ძალიან აღრე, არც ძალიან გვიან. საგუშაგოზე ორნი ვიდექით. ეს მეორე მალევე მოკლეს, მაშასადამე, ის ახლა არც არაფრად არ გიღირთ. მართალია, ცოლიანი იყო, მაგრამ ცოლი ჯანმრთელი ქალია და მუშაობა შეუძლია. მაშასადამე, საღელვებლად არცრა გაქვთ. ის სავსებით იაფი დაგიჯდებათ. ჯარისკაცად ის სულ ერთი თვე იყო. დახარჯვით მარტო ღია ბარათის თანხა დახარჯეთ, რითაც იმისი სიკვდილის უწყება გაუგზავნეთ ცოლს. ერთი სიტყვით, ნაღდი ჯარისკაცი იყო, მოკლეს და დამთავრდა.

მე მარტო დავრჩი, შიშმა ამიტანა. თანაც გავიყინე და გაქცევა დავაპირე. სულ ეს არის...

– არა მცალია-მეთქი, ხო გითხარი, – გაიმეორა მოხელემ და თავის ფანქარს დაუწყო ძებნა.

– არა, ბატონო, კარგად დამიგდე ყური. ახლა ფრიად საყურადღებო რამეს გეტყვი, როგორც კი გაქცევა დავაპირე და ფეხი ვიშვირე, ეგრევე ფეხში ბრახანი გამძვრა. რა გაქცევა, რის გაქცევა! ვწევარ მიწაზე და ვფიქრობ: სხვები მაინც გავაფრთხილო, რამე ნიშანი მივცე, თავს უშველონ-მეთქი. თუმცა, მაინცდამაინც ვალდებული არ ვიყავი, რადგან ჩემი თან წაყვანა არც უფიქრიათ. სულელური ამბავია, რასაკვირველია, მაგრამ ძალიან ჩქარობდნენ, მე აღარც ვახსოვდი. არადა, რომ არ წავქცეულიყავი და ნიშანი არ მიმეცა, ახლა ისინი არც ერთი ცოცხალი აღარ იქნებოდნენ – გენერალიც, პოლკოვნიკიც და მაიორიც, სუყველანი დაუმარხავნი დარჩებოდნენ. თქვენც პენსიის გადახდა აღარ მოგიწევდათ. მიდი და ახლა




დაითვალე, რა გიღირთ ჩემი ფეხი. გენერალი ორმოცდათორმეტი წლისაა, პოლკოვნიკი ორმოცდაცხრისა, მაიორი კი ორმოცდაათისა. სამივენი კაუკვინთ არიან თავით ფეხამდე, სამივენი კარგი ძველი სამხედრო წესით ცხოვრობენ და გინდენბურგივით ოთხმოც წელიწადს მიაღწევენ. მაშ, აბა, კეთილი ინებეთ და გამოთვალეთ: ასსამოცი გადავამრავლოთ თორმეტზე, ხოლო მიღებული ციფრი კიდევ ოცდაათზე გავამრავლოთ. საშუალოდ გამოდის ოცდაათი წელიწადი, სწორია? ჩემი ფეხი საშინლად ძვირი გამოდგა. მეორე ესოდენ ძვირიანი ფეხი ვერც კი წარმომიდგენია, გაიგეთ?

– მე უკვე გითხარით, რომ გაგიჟებული ხართ, – გამიმეორა მოხელემ.

– არა, – ვუთხარი მე, – გაგიჟებული არა ვარ. თქვენდა სამწუხაროდ გულიც და თავიც სრულ წესრიგში მაქვს. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ მანამ არ გამძვრა სული, სანამ ფეხი მომეგლიჯებოდა. მართალს არ ვამბობ? წარმოგიდგენია, რამდენი ფული დაგეზოგებოდათ!

– მიპასუხეთ: გინდათ თუ არა ის ადგილი, რაც შემოგთავაზეთ? – თქვა მოხელემ.

– არა. – ვუთხარი და წამოვედი“.

* * *

**დღეს, რასაკვირველია, არც ერთი ის ცალფეხა ჯარისკაცი ცოცხალი აღარ არის, არც გერმანელი და არც ქართველი, მაგრამ ცოცხალია ბევრი იმჟამინდელი უყურადღებოდ დარჩენილი ჯარისკაცის გულისტკივილი. არა, იმ ვეტერან ჯარისკაცებს, ფეხ თუ ხელდაკარგულებს, გულშიც არ უნდა ვათქმევინოთ, თუ ასე უგულოდ მოგვექცეოდნენ, კიდევ კარგი, რომ ფეხსა და ხელს თავიც არ მივაყოლეთო...**

მოამზადა

**გურამ გოგიაშვილმა**

ADB

# მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად

| | |
|---|---|
| თარიღი: | 2022 წლის 28 თებერვალი |
| სესხის N და დასახელება: | 3861-GEO: აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი |
| კონტრაქტის N და დასახელება: | SARP/GD/OCB-01: 38 ცალი პორტაბელური სასწორის შესყიდვა |
| სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: | 2022 წლის 11 აპრილი, 16:00 სთ (თბილისის დრო) |

1. საქართველომ მიმართა აზიის განვითარების ბანკს (ADB) აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის დაფინანსების მიზნით. აღნიშნული სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოაღნიშნული კონტრაქტის დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნების უფლებამოსილი მონაწილეებისათვის.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი („შემსყიდველი“) იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად **38 ცალი პორტაბელური სასწორის შესყიდვის მიზნით.**

3. **ღია საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა (ტენდერი)** წარიმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი, ერთი კონვერტის პრინციპის სატენდერო პროცედურით და ღიაა ყველა უფლებამოსილი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილესათვის, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაშია აღნიშნული.

4. ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ უფლებამოსილ მონაწილეებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (უნდა იყოს თუ არა მონაწილე ერთობლივი საწარმო, ან როგორ იქნება გამოყენებული ქვემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად არის მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში):

**შეუსრულებელი კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია:** მონაწილეს არ უნდა ჰქონდეს მისი მიზეზით შეუსრულებელი კონტრაქტები 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ.

**საკონტრაქტო გამოცდილება:** მთავარი მომწოდებლის როლში, ბოლო სამი წლის განმავლობაში მინიმუმ 2 კონტრაქტის წარმატებით დასრულების გამოცდილება; თითოეული კონტრაქტის სფერო უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის მე-6 ნაწილში (მოწოდების განრიგი) წარმოდგენილი მონაცემების მსგავსი ხასიათის და სირთულის; თითოეული კონტრაქტის ღირებულება უნდა იყოს 310,000 აშშ დოლარი.

**ტექნიკური გამოცდილება:** ტენდერის მონაწილეებმა უნდა დაადასტურონ რომ მათ მიერ წარმოდგენილი საქონელი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- წარმოებაშია მინიმუმ 3 წლის განმავლობაში;
- გაყიდულია მინიმუმ 100 ერთეული მსგავსი ტიპის და სპეციფიკაციის მქონე საქონელი ბოლო 3 წლის განმავლობაში;
- ექსპლუატაციაში იმყოფება მინიმუმ 3 წლის განმავლობაში.

**საწარმოო სიმძლავრე:** ტენდერში მონაწილემ ან მწარმოებელმა უნდა დაადასტუროს რომ მას შესწევს უნარი მიაწოდოს შემსყიდველს სატენდერო დოკუმენტაციის მე-6 ნაწილის (მოწოდების განრიგი) **მოწოდებისა და დასრულების განრიგში** მოცემული სახეობის, ზომის და რაოდენობის საქონელი.

**გასული პერიოდის ფინანსური მონაცემები:** ტენდერში მონაწილეს ფინანსური სტაბილურობის დემონსტრირების მიზნით, მინიმუმ ბოლო სამი წლის (2018, 2019, 2020) აუდირებული ფინანსური უწყისების, ან თუ მომწოდებლის ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში არსებული მოთხოვნა არ არსებობს, სხვა, შემსყიდველისათვის მისაღები ფინანსური უწყისების წარმოდგენა. ტენდერში მონაწილის ბოლო წლის საკუთარი კაპიტალი, რაც წარმოადგენს სხვაობას საერთო აქტივებსა და საერთო ვალდებულებებს შორის, უნდა იყოს დადებითი.

**საოპერაციო სიმძლავრე (საშუალო წლიური ბრუნვა):** მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს 582,000 აშშ დოლარს, რაც გამოითვლება ტენდერში მონაწილეს მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში (2018, 2019, 2020) დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში მოღებული გადახდების შეჯამებით.

**ფულადი სახსრების მოთხოვნა:** ხელმისაწვდომობა სახსრებზე, ლიკვიდური აქტივების, საკრედიტო ხაზის ან სხვა საშუალებებით, რაც საკმარისი იქნება 388,000 აშშ დოლარის ოდენობის ფულადი სახსრების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

**5. მოწოდების პერიოდი: 3 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან.**

6. შემდგომი ინფორმაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მიზნით გთხოვთ მიმართოთ:

**სალომე წურწუმია**
მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №12
ტელ: (+995 32) 2 37 05 08
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

7. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ინგლისურ ენაზე ტენდერში მონაწილეებმა:

- წერილობით უნდა მიმართონ შემსყიდველს ზემოთ მოცემულ ელ-ფოსტის მისამართზე 38 ცალი პორტაბელური სასწორის **(SARP/GD/OCB-01)** სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნით და
- სატენდერო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება უსასყიდლოდ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით. შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას ელექტრონული წერილის ადრესატამდე არ მისვლის შემთხვევაში.

8. წარმოადგინეთ თქვენი სატენდერო წინადადება:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, მე-4 სართული, კანცელარია.
- სატენდერო წინადადებების წარმოდგენილი უნდა იქნეს **2022 წლის 11 აპრილის 16:00 საათამდე (თბილისის დრო);**
- სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების გარანტია, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული.

9. სატენდერო წინადადებების გახსნა განხორციელდება სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადის გასვლისთანავე იმ მონაწილეების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ დაესწრონ გახსნის პროცედურას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
მე-2 სართულის საკონფერენციო დარბაზი

Asian Development Bank

ADB

# Invitation for Bids

| | |
|---|---|
| Date: | 28 February 2022 |
| Loan No. and Title: | 3861-GEO: East-West Highway (Shorapani-Argveta Section) Improvement Project |
| Contract No. and Title: | SARP/GD/OCB-01: Procurement of 38 Portable Scales |
| Deadline for Submission of Bids: | 11 April 2022 at 16:00 hours local time |

1. Georgia has applied for financing from the Asian Development Bank toward the cost of the **East-West Highway (Shorapani-Argveta Section) Improvement Project**. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. Bidding is open to Bidders from eligible source countries of the ADB.

2. The **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia** ("the Purchaser") invites sealed bids from eligible Bidders for **Procurement of 38 Portable Scales.**

3. **Open Competitive Bidding – International** will be conducted in accordance with ADB's Single-Stage One Envelope bidding procedure and is open to all Bidders from eligible source countries as described in the Bidding Document.

4. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding (should a Bidder be a Joint Venture, the way how the below mentioned criteria will be applied is further detailed in the Bidding Documents):

**History of Nonperforming Contracts**: Nonperformance of a contract did not occur as a result of contractor default since 1 January 2015.

**Contractual Experience:** Successful completion as main supplier within the last three (3) years of at least two (2) contracts each valued at **USD 310,000 (Three Hundred Ten Thousand United States Dollars)** with nature, and complexity similar to the scope of supply described in Section 6 (Schedule of Supply).

**Technical Experience:** The Bidder shall demonstrate that the goods (Category) offered have:

- been in production for at least three (3) years;
- been sold a minimum of 100 units of similar type and specification over the last three (3) years; and
- been in operation for a minimum of three (3) years.

**Production Capacity:** The Bidder or manufacturer shall demonstrate that it can supply the type, size, and quantity of the goods as required by Purchaser in accordance with the Delivery and Completion Schedule in Section 6 (Schedule of Supply).

**Historical Financial Performance:** Submission of audited financial statements or, if not required by the law of the Bidder's country, other financial statements acceptable to the Purchaser, for the last 3 (three) years (2018, 2019, 2020) to demonstrate the current soundness of the Bidder's financial position. As a minimum, the Bidder's net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive.

**Size of Operation (Average Annual Turnover):** Minimum average annual turnover of USD 582,000 (Five Hundred and Eighty Two Thousand United States Dollars) calculated as total payments received by the Bidder for contracts completed or under execution over the last 3 (three) years (2018, 2019, 2020).

**Cash Flow Capacity:** Availability of or access to liquid assets, lines of credit, and other finances sufficient to meet cash flow requirement which is USD 388,000 (Three Hundred Eighty Eight Thousand United States Dollars).

5. **Delivery Period:** Three (3) months after contract signing.

6. To obtain further information and inspect the Bidding Documents, Bidders should contact:

**Ms. Salome Tsurtsumia**
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge

7. To obtain the Bidding Documents in English, eligible Bidders should:

- write to address above requesting the Bidding Documents for **Procurement of 38 Portable Scales (SARP/GD/OCB-01)**; and
- Bidding Documents will be provided in an electronic format, free of charge.

The document will be sent by e-mail. No liability will be accepted for delivery failure.

8. Deliver your bid:

- to the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia. Street address: Al. Kazbegi Avenue #12. Floor/Room number: IV Floor, Chancellery;
- **on or before April 11, 2022 at 16:00 hours**;
- together with a Bid Security as described in the Bidding Document.

9. Bids will be opened **immediately after the deadline** in the presence of Bidders' representatives who choose to attend at the address below:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
12 12 Al. Kazbegi Avenue, 0160 Tbilisi, Georgia
II Floor, Conference Hall

Asian Development Bank

## ლია ახეჯაკოვა: ეს მართლაც მთელი მსოფლიოსთვის ომის გამოცხადებას ჰგავს, ეს რაღაც წარმოუდგენელია, მისი სისასტიკის გამო

**5 მარტს მოსკოვში უკრაინასთან ომის საწინააღმდეგო მიტინგი იგეგმება, ეს არის და ეს. სრულიად რუსეთი ჯერჯერობით სიჩუმისა და მოლოდინის რეჟიმში იმყოფება.**

სად არიან **ლია ახეჯაკოვას** მსგავსი საღად მოაზროვნე რუსეთის მოქალაქეები.

**„ჩემი აზრით რაღაც გამოუსწორებელი მოხდა, ეს მართლაც მთელი მსოფლიოსთვის ომის გამოცხადებას ჰგავს. ეს რაღაც წარმოუდგენელია, წარმოუდგენელი მისი სისასტიკის გამო. მეჩვენება, რომ შედეგები ძალიან მძიმე იქნება. როცა ქვეყნის კეთილდღეობის სათავეში არა ეკონომიკა, არამედ სხვადასხვა ძალოვანები დგანან, ძალიან საშიშია,“** — განაცხადა ორიოდე დღის წინ ცნობილმა მსახიობმა.

სამაგიეროდ სრულიად რუსეთი ალბათ, „ცნობილი კომუნისტი პოლიტიკოსის“ **გენადი ზიუგანოვის** მოსაზრებას იზიარებს.

**„ჩვენ ვალდებული ვართ სრულიად რუსული სამყარო დავიცვათ. რუსების გარეშე თქვენ გადაშენება გემუქრებათ. რუსული სამყარო — რუსეთი, ბელარუსი და უკრაინა — ერთი ენა, ერთი კულტურა. ვალდებულები ვართ უკრაინაში ამჟამინდელი ფაშისტური რეჟიმის პარპაშს ბოლო მოვუღოთ. ზელენსკი საშუალო გაქანების მსახიობია, რომელსაც მხოლოდ ეპიზოდურ და მეორეხარისხოვან როლებს ანდობდნენ. ეს ვითომ მსახიობი დღეს ქვეყნის სათავეშია და უკრაინას დაღუპვისაკენ მიერეკება“,** — განაცხადა ბატონმა გენადიმ.

ამბობენ ნამდვილ მეგობარს გაჭირვების დროს შეიცნობო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ასობით ათასი უკრაინელი ლტოლვილის მიღება-დაბინავება მოუწევს. უნგრეთსა და უკრაინას 137-კილომეტრიანი საერთო საზღვარი აკავშირებთ. ცნობილი გახდა, რომ მის მთელ სიგრძეზე უნგრული საჯარისო ნაწილები იწყებენ განლაგებას. მიზანი ერთია: მეზობელ სახელმწიფოში საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, უნგრეთის საზღვარს მომდგარი ლტოლვილების შეჩერება. ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრი **ტიბორ ბენკოს** განცხადებით, ვერც ერთი უკრაინელი უნგრეთის სახელმწიფო საზღვარს ვერ გადაკვეთს. საწინააღმდეგო მდგომარეობაა რუმინეთში. ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრი **ვასილე დინკუს** ინფორმაციით, მისი ქვეყანა ნახევარი მილიონი უკრაინელი ლტოლვილის მისაღებად მზადაა.

უკრაინაში დიდი პატრიოტული მუხტია. ამის მიუხედავად უმაღლეს რადაში „გამკრიტიკებლებიც“ გამოჩნდნენ. პუტინის „დემარშის“ შემდეგ, იმ დროს, როდესაც მთელი უკრაინა ფეხზე დგებოდა და ერთი საერთო იდეის ქვეშ ერთიანდებოდა, პარტიამ „ოპოზიციური პლატფორმა“ ზელენსკის გადაყენება მოითხოვა, მიზეზად კი პრეზიდენტის მიერ ქვეყნის რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში შეყვანა მოიტანა. მოგვიანებით ამავე პარტიის წევრმა, უმაღლესი რადას დეპუტატმა **ილია კივამ** განაცხადა, რომ ვლადიმერ ზელენსკი შორეულ კოსტა-რიკაში 1.2 მილიარდ დოლარს ინახავს. რასაკვირველია, ეს თანხა სხვადასხვა საეჭვო მაქინაციებითაა დაგროვილი. კივამაც ქვეყნის პრეზიდენტს გადადგომისაკენ მოუწოდა.

**სანტიაგო გაუჩო**

## 1300 რუსი ექიმი ომის შეწყვეტას ითხოვს

**რუსეთში 1 300-მდე ექიმმა ქვეყნის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების შეწყვეტის მოთხოვნით, ღია წერილით მიმართა.** ინფორმაცია უკრაინულ მედიაში გავრცელდა.

**„ომი ბევრ სიცოცხლეს შეიწირავს, იმდენს, რომ ჩვენ მთელი ძალისხმევითაც კი, ვერ მოვახერხებთ დახმარებას. ტკივილისგან ყვირილი, დედების მოწოდება, ყველა იქნება ერთ ენაზე. რა კეთილი მიზნებითაც არ უნდა გამართლდეს სასიკვდილო იარაღის გამოყენება, ის მაინც სასიკვდილო იარაღად რჩება, რომელიც იწვევს ტკივილს და ტანჯვას“,** — ნათქვამია მედპერსონალის ღია წერილში.

## „წინააღმდეგნი ვართ, რომ ეს ომი ჩვენი სახელით აწარმოონ“

ორი ათასზე მეტი რუსი მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტორი, მუსიკოსი და პროდიუსერი ხელს აწერს ღია წერილს, სადაც ისინი უკრაინაში ომის წინააღმდეგ გამოდიან.

**„ჩვენ, მხატვრები, არქიტექტორები, კრიტიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, ხელოვნების მენეჯერები — რუსეთის ფედერაციის კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები — გამოვხატავთ ჩვენს აბსოლუტურ სოლიდარობას უკრაინელი ხალხის მიმართ და მტკიცედ ვამბობთ „არა ომს!“.**

**— ჩვენ მოვითხოვთ ყველა საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, უკრაინის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანას და სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვას,** — აცხადებენ წერილზე ხელმომწერები.

წერილში ნათქვამია, რომ 24 თებერვალს რუსეთმა **„დაიწყო უეცარი, აგრესიული და ღია სამხედრო შეტევა უკრაინის მთელ ტერიტორიაზე“, რაც იწვევს „უზარმაზარ ადამიანურ მსხვერპლს, საფრთხეს უქმნის ეკონომიკასა და უსაფრთხოებას და მიიყვანს ჩვენს ქვეყანას სრულ საერთაშორისო იზოლაციამდე“. „საბაბი, რომლითაც მოხდა „სპეციალური ოპერაციის“ წამოწყება, მთლიანად რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ იყო შექმნილი და ჩვენ წინააღმდეგი ვართ, რომ ეს ომი ჩვენი სახელით აწარმოონ“,** — აცხადებენ რუსი ხელოვანები.

### კვალი ფსიქიატრიაში

## ...სულიც რომ ჯანსაღი ყოფილიყო!

**სამამულო მედიცინას, ფაქტობრივად ყველა ცალკეულ სფეროში, მსოფლიო დონის არაერთი გამოჩენილი მეცნიერ-პრაქტიკოსი მკურნალი, ხშირად მეცნიერებაში ახალი პერსპექტიული მიმართულების გზამკვლევები რომ ჰყავს, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია. ამ მხრივ, ცხადია, არც ქართული ფსიქიატრიაა გამონაკლისი, რომლის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის შოთა გამყრელიძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.**

**იგი 1922 წლის 28 თებერვალს დაიბადა თბილისში, მეფის ჯარის ყოფილი ოფიცრის აკაკი გამყრელიძისა და თავადის ქალის აგრაფინა აბაშიძის ოჯახში და თუმცა, მიზეზთა გამო, საშუალო სკოლა ქ. საჩხერეში დაამთავრა, შემდგომ სწავლა თბილისში განაგრძო. 1939 წელს ის, როგორც სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებული, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხა, მაგრამ 1940 წელს, მეორეკურსელი შოთა გამყრელიძე ჯარში გაიწვიეს. თავდაპირველად იგი უკრაინაში, ვინიცის ოლქის ქ. ჟმერინკაში მოხვდა, 1941 წელს კი ბელორუსიის ქ. ორშაში საავიაციო სკოლაში ჩასარიცხად და მფრინავად მოსამზადებლად გაგზავნეს, მაგრამ 22 ივნისს ომმა ქ. მოგილევში, მატარებელში მყოფს მოუსწრო. ამავე წლის ოქტომბერში იგი, სხვა მოხალისე კურსანტებთან ერთად, მოსკოვის დამცველთა შორის იყო, 1942 წლის 1 იანვარს კი, ქ. ტარუსას გათავისუფლებისთვის ბრძოლის დროს, მძიმედ დაიჭრა და დემობილიზებულ იქნა. როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილე, შოთა გამყრელიძე დაჯილდოებულია დიდების მე-3 ხარისხისა და სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენებით, ასევე თორმეტი მედლით.**

**ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილმა ახალგაზრდა კაცმა, 1942 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, რომლის 1947 წელს დამთავრების შემდეგ მთელი თავისი სამედიცინო კარიერა ფსიქიატრიას მიუძღვნა, თუმცა კი თავიდან ნეიროქირურგიაზე ეჭირა თვალი. რამდენიმე წელი ბატონმა შოთამ სოხუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად იმუშავა, შემდგომ თბილისში გადმოვიდა, სადაც ჯერ რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს სასამართლო-ფსიქიატრიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მერე კი საავადმყოფოს მთავარ ექიმად დაინიშნა.**

**პრაქტიკულ მუშაობას, ბატონი შოთა გამყრელიძე მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასაც უთავსებდა და 1959 წელს — ჯერ საკანდიდატო, 1971 წელს კი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და პროფესორის წოდება მიენიჭა.**

**1962 წლიდან მოყოლებული, მისი ინიციატივით საქართველოში დაიწყო კვლევები კლინიკური ფსიქოფარმაკოლოგიის სფეროში, რომელსაც მან შემდგომ მთელი თავისი ნიჭი და უნარი მოახმარა — როგორც პრაქტიკოსმა და მკვლევარმა ექიმმა. 1973 წელს მ. ასათიანის სახელობის თბილისის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, პროფესორმა შოთა გამყრელიძემ კლინიკური ფარმაკოლოგიის განყოფილება დააარსა, რომლის სამეცნიერო საქმიანობას 1999 წლამდე თავადვე უძღვებოდა. ამ განყოფილების ბაზაზე, მისი ხელმძღვანელობით ექიმთა არაერთი თაობა აღიზარდა, რომელთა წარმომადგენლები შემდგომ ფსიქიატრიის მიმართულების წამყვანი სპეციალისტები გახდნენ და დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში კლინიკური ფსიქოფარმაკოლოგიის განვითარებაში.**

**როცა ქართული ფსიქიატრიული სკოლის სამეცნიერო კვლევების მიღწევებსა და მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს პროფესორ შოთა გამყრელიძის ფასდაუდებელი წვლილი მედიცინის ამ ურთულესი დარგის განვითარებაში. მისი მოღვაწეობის შედეგია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, იტალიურ, პოლონურ და ჩეხურ ენებზე ნათარგმნი 326 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 15 მონოგრაფია, და ორი სახელმძღვანელო.**

**აქვე უნდა ითქვას, ფსიქიატრია ბატონ შოთა გამყრელიძის ოჯახის წევრთათვისაც გახლდათ პროფესიული საქმიანობის ასპარეზი: ამ დარგის დიდებული სპეციალისტია მისი მეუღლე, ქალბატონი ნათელა, წარმატებული ფსიქიატრი იყო აგრეთვე მისი უდროოდ დაღუპული ვაჟიშვილი აკაკი.**

**1996 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შოთა გამყრელიძე აირჩიეს საქართველოს სამედიცინო აკადემიის ნამდვილ წევრად, 1988-დან 2000 წლამდე კი იგი საქართველოს ფსიქიატრთა ასოციაციის პირველი პრეზიდენტი გახლდათ. სწორედ მისი ძალისხმევითა და ინიციატივით, მადრიდის მე-10 კონფერენციაზე ქართული ფსიქიატრია 1996 წელს მიიღეს მსოფლიო ფსიქიატრიული ასოციაციის წევრად.**

**დარბაისელი, დინჯი, მიმტევებელი და თავმდაბალი კაცი, აკადემიკოსი შოთა გამყრელიძე დიდად დაკვირვებული პიროვნება იყო: უაღრესად განათლებული მეცნიერი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ჩინებულად მცოდნე, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის შიგნით თუ მის საზღვრებს გარეთ გამართულ პროფესიულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში, წლების მანძილზე იყო მთელი რიგი ქართული და უცხოური პერიოდული ფსიქიატრიული გამოცემის ხელმძღვანელი, სარედაქციო კოლეგიის წევრი.**

**აკადემიკოს შოთა გამყრელიძის პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობა, მისი პირადული თვისებები ჯეროვნად იყო დაფასებული როგორც ქართული, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების მიერ: 2000 წელს მსოფლიოში განთქმულმა ინგლისის კემბრიჯის უნივერსიტეტმა იგი, როგორც გამორჩეული ინტელექტუალი, ვერცხლის მედლით დააჯილდოვა, ხოლო 2012 წელს ის საქართველოს „ბრწყინვალების ორდენის“ კავალერი გახდა.**

**2015 წელს, 93 წლის ასაკში, აკადემიკოსი შოთა გამყრელიძე გარდაიცვალა, 2016 წელს კი ა. ზურაბაშვილის სახელობის საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების ჟურნალმა „საქართველოს ფსიქიატრიის მოამბემ“ თავისი მე-10 ნომერი მის ხსოვნას მიუძღვნა.**

**ქართულ კლინიკურ ფსიქიატრიაში შეტანილი წვლილისთვის აკადემიკოს შოთა გამყრელიძის ხსოვნის პატივსაცემად და დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების ეგიდით სამეცნიერო კონფერენცია უნდა გამართულიყო, თუმცა კოვიდ-19-ის პანდემიის გამო მისი ჩატარების ვადები მოგვიანებით დაზუსტდება.**

**ოთარ ტურაბელიძე**

სანთელი

# ყოველმხრივ სიყვარულით გამთბარი ქველმოქმედი

**გავიდა 40 დღე იმ ავბედითი დღიდან, როცა ჩვენი მეგობრის დალი ბოჯგუას გულისძგერა შეწყდა. გულისა, რომელიც რვა ათეულ წელზე მეტია სიყვარულით, სითბოთი და ქველმოქმედებით ძგერდა. მან ამ წუთისოფლის ვნებათაღელვა, ძრახვანი და გასაჭირი განიცადა, მაგრამ თავის ყაიდაზე ერკინებოდა ყველა დაბრკოლებას და ხშირად წარმატებით ართმევდა თავს. ღირსეული მშობლების შვილს ამ ქვეყნად მოვლინებასთანავე პატიოსნება, შრომისმოყვარეობა და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა გამოჰყვა. ზენაარმა ინება დაბადებულიყო სამეგრელოს ულამაზეს კუთხეში — მარტვილში, იმერეთის, — ბაღდათის დედულეთის ძუძუ ეწოვა და ჩამოყალიბებულიყო სრულქმნილ პიროვნებად დედაქალაქში.**

**ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე. წარმატებულ სტუდენტებს ინსტიტუტში დარჩენას და მუშაობის გაგრძელებას სთავაზობდნენ, მაგრამ დალიმ დონბასში უმსხვილეს საწარმოს მიაშურა, რათა ღრმად შეესწავლა თავისი რთული პროფესია. თავისი რჩეულის თხოვნით 7 წლის შემდეგ დონბასი დატოვა და თბილისში დაბრუნდა, აქ ის მიიწვიეს თბილისის პარტიულ ორგანოებში სამუშაოდ. მოგვიანებით, დალის ღირსეული მეუღლე და მაღალი რანგის ენერგეტიკოსი რეზო მხეიძე ალჟირში 4 წლის ვადით სამუშაოდ მიიწვიეს ამ ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების მიზნით. დალი იქაც თავის შვილებთან ერთად, როგორც ყოველთვის მხარში ედგა მეუღლეს. თბილისში დაბრუნების შემდეგ რეზო მხეიძე „საქელექტრომონტაჟმშენს“ სათავეში ჩაუდგა. დალიმ კი პარტიულ ორგანოებში გააგრძელა მუშაობა, გაიარა ყველა საფეხური კიროვის საბურთალოს რაიკომებში, არჩეული იყო თბილისის საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1986 წ. პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. ეს იოლი საქმე არ იყო. ეს რაიონი გამორჩეული იყო უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობით. დალიმ მათთან საერთო ენის გამონახვა მოახერხა, მათ გვერდით იდგა ეროვნული ტრადიციების დაცვისა და განვითარების საქმეში, ეროვნული ფასეულობის ხელშეუხებლობის საკითხებში, რითაც მალე მათი დამსახურებული პატივისცემა დაიმსახურა.**

**90-იან წლებში დალი იყო ის რაიკომის მდივანი, რომელმაც კოლეგებთან ერთად უკანასკნელმა დატოვა რაიკომის შენობა, იცავდა რა მას შეიარაღებული მოძალადეებისა და ფორმირებებისგან. დალის ცხოვრებაში დიდი ტრაგედია დატრიალდა. მან მეუღლე, დიდი მეგობარი და შემწე დაკარგა, ქალიშვილებმა — არაჩვეულებრივი მამა. დალისთვის ეს უდიდესი დარტყმა იყო, მაგრამ ერთი წუთით არ შემდრკალა. ჩვეული შემართებით გააგრძელა ცხოვრება და ოჯახის თავკაცობა. დალი მუდამ ქვეყნის კატაკლიზმების ცენტრში ტრიალებდა. 90 წლებში მის მიერ შექმნილმა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა მოიზიდა როგორც ფულადი სახსრები, ასევე სურსათი და ტანსაცმელი, რომლითაც იგი ლტოლვილებსა და მრავალშვილიან ოჯახებს ამარაგებდა. ბევრი ღვაწლმოსილი მეცნიერი და კულტურის წარმომადგენელი მადლიერი იყო ამ ფონდის დროული დახმარებით. ფონდის ოფისში ხშირად ეწყობოდა შეხვედრები, ჯანდაცვის, ეკონომიკის სფეროს, სოციალური და შრომის უზრუნველყოფის სამინისტროების წარმომადგენლებთან ამ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. როცა საქართველოსა და მსოფლიოს ვირუსის სენმა დაუარა, დალის მხედველობის პრობლემა შეექმნა, რამაც მისი დამოუკიდებელი გადაადგილების შესაძლებლობა შეზღუდა. მიუხედავად ამისა, დალი მისთვის ჩვეული შემართებითა და თავგამოდებით უკვე ტელეფონისა და ინტერნეტის მეშვეობით ცდილობდა ბევრი საკითხის მოგვარებას, შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარებოდა. განაგრძობდა აქტიურ მონაწილეობას საქართველოს ქალთა მოძრაობაში, მწიგნობართა საზოგადოებისა და ჟურნალ „რუსკი კლუბის“ საქმიანობაში, მისთვის არ იყო ჩვეული უკან დახევა.**

**დალი ბოჯგუა ამ ქვეყნიდან ნაცნობ-მეგობრების სიყვარულით გამთბარი წავიდა, მოგვაყენა მოუშუშებელი ტკივილი, მაგრამ დატოვა ნათელი კვალი, რომელიც გვაიმედებს, რომ — „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“.**

**მეგობრები**

# დალი ბოჯგუა — ქალბატონი დიდი გულითა და უანგარო სიკეთით...

**დალი ბოჯგუა** — დიდი გულით, უანგარო სიკეთითა და მოყვასისადმი უზომო სიყვარულით გამორჩეული ქალბატონი, რომელიც გვაძლიერებდა და გვეიმედებოდა გარშემომყოფთ...

დალი ბოჯგუა — კეთილშობილი, თბილი, მზრუნველი და იმედიანი ქალბატონი, რომელთანაც ყველას მიუხაროდა...

რამდენჯერ შევსწრებივარ მის ოფისში მოსულ ადამიანებს, რომლებიც ქალბატონი დალისგან გულშემატკივრობას, რჩევა-დარიგებას, სითბოსა და სიყვარულს ელოდნენ და... იღებდნენ კიდეც... არაერთი მაღალი თანამდებობისა და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის ხელმძღვანელობის შემდეგ, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, სათავეში ჩაუდგა საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც სოციალურად დაუცველთა დასახმარებლად შექმნა. ვინ იცის, რამდენ ადამიანს მიანიჭა სიხარული და დაუბრუნა ცხოვრების ხალისი, თუმცა, თვითონ ამაზე არასოდეს საუბრობდა... ...ქალბატონი დალი წიგნზე „დრონი და ადამიანები“ მუშაობისას გავიცანი. იმ წუთიდანვე გვერდიდან არ მომშორებია და თავისივე ინიციატივითა და თავდადებით გადამალახვინა ყველა ის სიძნელე, რაც წიგნის გამოცემას ახლავს თან. მთელი საქართველო შეძრა, რომ აღნიშნულ წიგნს დღის სინათლე ენახა...

დალი ბოჯგუა ძალიან დააკლდა ქვეყანას, რომელსაც ერთგულად ემსახურა; ქალაქს, რომელსაც ეთაყვანებოდა; ოჯახს, რომელსაც ბურჯად ედგა და ჩვენ — მეგობრებს (გავკადნიერდები და მის მეგობრობას დავიჩემებ, თუმცა, ქალბატონი დალისგან ყოველთვის დედობრივ მზრუნველობასა და სითბოს ვგრძნობდი), რომლებსაც მისი არსებობა გვაძლიერებდა და გვაიმედებდა! უფალმა აცხონოს მისი სული და დაამკვიდროს, სადაც მართალნი განისვენებენ!

**გია ჩაჩანიძე**

თენგიზ ქავთარაძე ოჯახის ღრმა მწუხარებით იუწყება

## ლაერტ ირაკლის ძე დულაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს შვილებს — ირაკლის, შალვას და მაიას.

# იუნკერ მაკარ ბურჭულაძის სახელობის ქუჩა კოჯორში

**ოკუპაციის** დღესთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს ინიციატივით, უნკერ მაკარ ბურჭულაძის სახელობის ქუჩა გაიხსნა. ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ მიმართეს.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძის თქმით, დღევანდელი დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული თარიღია და სიმბოლურია, რომ ქუჩისთვის სახელის მინიჭება სწორედ დღეს განხორციელდა. „ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია და სიმბოლურია, რომ დღეს კოჯორში მდებარე ერთ-ერთ ქუჩას მაკარ ბურჭულაძის სახელი მივანიჭეთ. საბჭოთა ოკუპაციის დროს რუსეთის მე-11 არმიის შენაერთებსა და ქართულ ჯარს შორის უთანასწორო ბრძოლები გაიმართა. ქართულ მხარეს იდგა არა მარტო რეგულარული არმია, არამედ მოხალისეებიც, მათ შორის 510 იუნკერი. ბევრი მათგანი, კოჯრისა და ტაბახმელის მიდამოებში გმირულად დაიღუპა. ეს ხალხი არის სიმბოლო სამშობლოსთვის თავგანწირული ბრძოლისა. მათი ხსოვნა დავიწყებას არასდროს მიეცემა“, — განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

# უკრაინელი ტურისტები სასტუმროებში უსასყიდლოდ დააბინავეს

**საქართველოში** ვიზიტად მყოფი პილიგრიმთა ჯგუფი — 100-მდე ტურისტი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კოორდინაციით, სასტუმროებში უკვე განთავსდნენ. უკრაინელების ჯგუფი საქართველოში 17 თებერვალს ჩამოვიდა და 24 თებერვალს უკან უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო მათ საქართველოში დარჩენა მოუწიათ. უკრაინელი ტურისტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ხელისუფლებიდან მათ პირველივე წუთებში დაუკავშირდნენ და დახმარების მზადყოფნა გამოთქვეს, —ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, უკრაინელი ტურისტები, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლეს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კოორდინაციით სასტუმროებში სრულიად უსასყიდლოდ განთავსდებიან. სასტუმროებში განთავსება 26 თებერვლიდან დაიწყო. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გუშინ დილიდან აამოქმედა უფასო ცხელი ხაზი, სადაც საჭიროების შემთხვევაში, უკრაინელი ტურისტებს შეუძლიათ დარეკონ და ყველა სახის ინფორმაცია და დახმარება მიიღონ. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დახმარების თხოვნით უკვე მიმართა 100-მდე უკრაინელმა ტურისტმა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კოორდინაციით, კერძო სექტორმა თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოთქვა სურვილი სრულიად უსასყიდლოდ დაუთმოს სასტუმრო უკრაინელ ტურისტებს.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთს აქვს განახლებული ვებ-გვერდი www.sakresp.ge

თქვენ საშუალება გეძლევათ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილში გაეცნოთ გაზეთის ახალ ნომრებს, გამოიწეროთ იგი ელექტრონულად, განათავსოთ თქვენთვის სასურველი რეკლამა და სარეკლამო ბანერი.

გაზეთის სარეკლამო სივრცე გელით ყველას!

იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, გაიძლიერეთ სიცოცხლის რწმენა და იმედი!

**103 წლის ყველაზე ქართული გაზეთი თქვენ გვერდითაა!**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

# ევროვიზია – რუსეთის გარეშე

**ევროპის მაუწყებელთა კავშირის გადაწყვეტილებით, რუსეთი ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს.**

გადაწყვეტილება რამდენიმედღიანი მსჯელობის შემდეგ იქნა მიღებული. ეს გადაწყვეტილება უკრაინის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, EBU-ს წევრ მაუწყებლებთან ერთად, მათ შორის საქართველოს პირველ არხთან ერთად მიიღო.

**„საზოგადოებრივი მაუწყებელი ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრია. მე პირადად მედიაკომიტეტის წევრი ვარ. უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, უკრაინის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინიციატივით, ევროპის მაუწყებელთა კავშირს წევრი ქვეყნების უმრავლესობამ მიმართა რუსეთის ორი სატელევიზიო არხის წევრობის სტატუსის შეჩერებაზე, ასევე ევროვიზიის სიმღერის კონკურსიდან მოხსნაზე. საქართველო უკრაინის საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად ამ მძიმე ვითარებაში მუშაობს და ყველა მის ინიციატივას უჭერს მხარს. ახლა, როგორც არასდროს, ერთიანია ორგანიზაცია, რომლის მთავარი ღირებულება არის სოლიდარობა და დემოკრატიული პრინციპების უპირობო დაცვა“,** – განაცხადა საქართველოს პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა, თინათინ ბერძენიშვილმა.




# ქართველი ექიმის დახმარება დაჭრილ უკრაინელ და რუს ჯარისკაცებს

ქართველი ქირურგი **არჩილ ჭანტურიძე** კიევის ერთ-ერთ სახელმწიფო კლინიკაში უკრაინელ დაჭრილ ჯარისკაცებთან ერთად გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას რუსებსაც უწევს.

**„დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს ერთმანეთის მხარდაჭერა. ამ ურთულეს ვითარებაში მე ჩემს ოჯახთან ერთად კიევში ვიმყოფები და არ დაგვიტოვებია უკრაინის ტერიტორია.**

**მე ვარ ქირურგი და ბოლო რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში კიევის ერთ-ერთ სახელმწიფო კლინიკაში ჩემს პროფესიულ მოვალეობას უკრაინელ კოლეგებთან ერთად საგანგებო რეჟიმში ვასრულებ. მე მოვალე ვარ, გვერდით დავუდგე მათ ამ უმძიმეს პერიოდში. ჩვენ ერთად ვზრუნავთ დაშავებულ სამოქალაქო და სამხედრო პირებზე. ჩემი პაციენტების რიგებში უკრაინელ სამხედროებთან ერთად რუსი ჯარისკაცებიც არიან. მშვიდობას ვუსურვებ უკრაინას!“,** – განაცხადა არჩილ ჭანტურიძემ. არჩილ ჭანტურიძე წლებია, უკრაინაში საკუთარ ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მან კლინიკური ორდინატურა და ასპირანტურა კიევში გაიარა, ასევე პარალელურ რეჟიმში რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობდა.

# თავშესაფრად მეტრო გამოიყენება

**კიევში მეტრომ მუშაობა შეაჩერა და ახლა ის ადამიანებისთვის თავშესაფრად გამოიყენება. ინფორმაციას ქალაქის მერი ვიტალი კლიჩკო ავრცელებს.**

ქალაქის მერი კიევის მცხოვრებელებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ სახლიდან გასვლისგან. მისი თქმით, სახლის დატოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება აუცილებელი, თუ თავშესაფარში გადასვლის ბრძანება გაიცემა.

# კიევის მეტროში ბავშვი დაიბადა

**ფოტო სოციალურ ქსელში ვრცელდება.** უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების გამო, მოქალაქეები უკვე მეორე დღეა მეტროსადგურებში თავს აფარებენ. ახალშობილი თავს კარგად გრძნობს.

# თურმე ეს ომი არ ყოფილა

რუსეთის სახელმწიფო მედიამონიტორინგის სააგენტო „როსკომნადზორი“ რუსულ მედიას უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ომად მოხსენიებას უკრძალავს.

**„ყველა მასალა, რომელშიც უკრაინაში მიმდინარე ოპერაცია თავდასხმად, შეჭრად ან ომის გამოცხადებად არის მოხსენიებული, უნდა წაიშალოს“,** – აცხადებენ „როსკომნადზორში“. უწყებამ 10 მედიასაშუალებას, მათ შორის „ეხო მოსკვის“, „დოუდს“ და „ნოვაია გაზეტას“ „მცდარ ინფორმაციაზე“ წვდომის შეზღუდვა დაავალა.

ზემოხსენებული მედიასაშუალებები რუსული ჯარის მიერ უკრაინის ქალაქებზე მიტანილი იერიშებისა და უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის შესახებ ინფორმაციას ავრცელებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მედიასაშუალებებს დაბლოკვა და 5 მილიონი რუბლის ოდენობის ჯარიმაც ემუქრებათ.

# პასუხისმგებელია როგორც პუტინი, ასევე ლუკაშენკო!

პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ევროპული საბჭოს ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტუსკი რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მიმართ დაწესებულ სანქციებს ეხმაურება და აცხადებს, რომ სანქციები ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოსაც უნდა დაუწესდეს.

**„როცა მზად იქნებით გადაწყვეტილების მისაღებად, ბელარუსიც არ დაგავიწყდეთ. ლუკაშენკოსა და მისი ბანდიტების წინააღმდეგ ასეთივე მკაცრი სანქციებია საჭირო. მას ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება ამ აგრესიაზე, როგორც პუტინს“,** – წერს ტუსკი Facebook-ზე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 2 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1540; ევრო - 3.5255;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2194;
100 რუბლი - 3.7416; თურქული ლირა - 0.2238;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8596;
1000 სომხური დრამი - 6.5572.

**ამინდი 28 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე | +15 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე | +17 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე | +15 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge